ლელო

№ 25
(11 277)

2 – 5 აპრილი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ახალი ამბები სფფ-დან

## ყადაღა, ქართული ფეხბურთის ლახვარი!

როგორც ცნობილია, სფფ-ს ანგარიშს ყადაღა აქვს დადებული, რაც ისედაც გართულებულ სიტუაციას უფრო ამძიმებს. ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელებს უამრავი ფინანსური პრობლემა აქვთ გადასაჭრელი და გამოსავლის ძიებაში არაორდინარულ „ალმოჩენებამდეც“ მიდიან. მაგალითად, თუ სტუმარ გუნდს უნდა უმასპინძლო ხარჯებით, ახლა სტუმარი თავად იხდის საჭირო თანხებს, სამაგიეროდ, შენგანაც ამას მოითხოვს სტუმრობისას. ამგვარი პრინციპით მიემგზავრება, ჩვენი 18 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები ჩეხეთში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მონაწილეობისთვის. თუმცა, მანამდე იგი შეკრებას გაივლის გერმანიაში, სადაც, კიდევ კარგი, ჩვენებს თავიანთ ხარჯზე გაუწევენ საქველმოქმედო დახმარებას. რაც შეეხება საავიაციო ბილეთებს, აქ კვლავ აერჯორჯიამ გამოიჩინა ყურადღება და ერთხელ კიდევ ნისიად მოემსახურება ნაკრებს.

## 5 მინუს 2, იაფად...

ის საფეხბურთო აბონემენტები, რომლებიც ჩვენს ეროვნულ სტადიონზე ხუთი საერთაშორისო მატჩისთვის იყო გათვალისწინებული უკრაინასთან ამხანაგური და სლოვენიასთან ევროპის შესარჩევი მატჩის შემდეგ გამავრცელებლებთან აღარ გაიყიდება. გაუსაღებელ აბონემენტებიდან ამოხევენ უკვე ჩატარებული შეხვედრების ორ ტალონს, დარჩენილი სამი (მატჩები ნორვეგიასთან, საბერძნეთთან და ლატვიასთან), ცხადია იაფად გაიყიდება. ასე რომ...

## საქართველოს ჩემპიონატი საფრთხეშია!

როგორც ადრე გაცნობეთ, სფფ-მ ბოლო მოულო ეროვნულ ჩემპიონატში მსაჯების ხარჯების ადგილზე გასტუმრების მავნე პრაქტიკას და თავის თავზე აიღო მისი ანაზღაურება. მაგრამ იმის გამო, რომ სფფ-ს ანგარიში დაყადაღებულია, მსაჯების ვალი დაგროვდა და მათ აღარ სურთ საკუთარი ფულით იარონ მატჩებზე. თუ ასე გაგრძელდა, ეროვნულ ჩემპიონატს ნამდვილად ემუქრება საფრთხე.

## გიზო ჯელაძე არენდით გაანათხოვრეს

ქართველი ფეხბურთელების გოგრიჭიანისა და გოგიაშვილის გუნდს სოჭის „ჟემჩუჟინას“ კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე გიზო ჯელაძე შეემატა. ეს ფეხბურთელი სარატოვის „სოკოლის“ კუთვნილება იყო, მაგრამ შეთანხმებით, ახლა იგი არენდით გადაეცა „ჟემჩუჟინას“. სოჭში ჯელაძე მინიმუმ ერთი წრე ითამაშებს.

## «ლელოს» რედაქციისაგან:

გუშინ საღამოს, სანდო წყაროდან, მაგრამ არაოფიციალურად შევიტყვეთ, რომ ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა გაითვალისწინეს სფფ-ს მრავალგზის თხოვნა და ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ ის თანხა, რომელიც შარშან სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოუყო სფფ-ს, ჩაუთვალა სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანებაში. ასეთი მიდგომა იმედს გვისახავს, რომ ქართული ფეხბურთის ფინანსური პრობლემების მოგვარების მექანიზმი როგორც იქნა, ამუშავდა...

კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## თსუ – სდასუ 75:81



XX ტურის გადადებული შეხვედრა თსუ – სდასუ-ს შორის იმ წარსულ წლებს მოგაგონებდათ, სტუდენტურ კალათბურთზე რომ უზომოდ ბევრი მაყურებელი დადიოდა. ასე თავგამოდებით ქომაგობდნენ ახლაც ორივე უმაღლესი სასწავლებლის გულშემატკივრები თავიანთ გუნდებს. ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში იშვიათად იკრიბება ამდენი ქომაგი. მხარდამჭერთაგან წაქეზებულმა მეტოქეებმა ძალღონე არ დაზოგეს, მაგრამ ფსიქოლოგიურადაც ეტყობა უკეთ მომზადებულები მაინც სდასუ-ს კალათბურთელები იყვნენ. მოწინააღმდეგე სწორედ ამ კომპონენტში ვერ გამოიყურებოდა თავდაჯერებულად, თორემ თავიდან მოპოვებულ ინიციატივას ხელიდან არ გაუშვებდა.

მოვლენის კვალდაკვალ

## სფფ-ს გადაწყვეტილებას იწონებენ, ნაკრების კი სჯერათ!

გუშინ რედაქციაში გვეწვია ფეხბურთის გულშემატკივრთა წარმომადგენლობითი დელეგაცია და გვთხოვა მათი მოსაზრება გამოგვექვეყნებინა გაზეთში. აი მათი პოზიცია: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ სფფ-ს ხელმძღვანელობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ეროვნული ნაკრების ახლანდელ ხელმძღვანელობას ნდობა გამოუცხადა. არ შეიძლება ასეთ კრიტიკულ მომენტში, როცა ჯერ კიდევ დაკარგული არ არის შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსი, ნაკრებში ახალი თავკაცები მოვიდნენ. პრობლემები, რომლებიც გუნდშია, ახლანდელმა მწვრთნელებმა უკეთ იციან და ალბათ მოგვარდება კიდეც, რის იმედს იძლევა სფფ-ს თანადგომა. ჩვენს ნაკრებს არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ კრიტიკულ სიტუაციაში შესწევს მობილიზების უნარი. ახლა მას ლიდერთან მატჩი ელის და საშუალება ეძლევა აღიდგინოს რეპუტაცია. ნორვეგიელებს 7 ქულა აქვთ, მათთან მოგების შემთხვევაში, ორივე ნაკრებს თანაბარი ქულა ექნება. აი, სად და რატომ მართებთ ახლა ჩვენებს განსაკუთრებული თავგამოდება. ვიმეორებთ, გადამწყვეტი მატჩი ჩვენებმა უნდა მოიგონ, ამის ძალა მათ შესწევთ!“

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II წრე)

## XX ტური

არსენალი – გორდა 1-0

მერანი – სიონი 2-0

სამგურალი – კოლხეთი 0-1

დილა – ოდიში 1-0

ტორპედო – ვიტჯორჯია 0-1

ლოკომოტივი – იბერია 2-0

გურია – დინამო (ბთ) 0-1

დინამო (თბ) – თსუ 0-0

## სატურნირო მდგომარეობა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 20 | 16 | 4 | 0 | 64–10 | 52 |
| 2. ტორპედო | 20 | 14 | 2 | 4 | 48–18 | 44 |
| 3. ლოკომოტივი | 20 | 10 | 10 | 0 | 25–8 | 40 |
| 4. კოლხეთი | 20 | 10 | 4 | 6 | 43–32 | 34 |
| 5. დინამო (ბთ) | 20 | 9 | 7 | 4 | 27–16 | 34 |
| 6. დილა | 20 | 9 | 5 | 6 | 28–24 | 32 |
| 7. მერანი | 20 | 7 | 9 | 5 | 21–20 | 27 |
| 8. არსენალი | 20 | 5 | 8 | 7 | 23–36 | 23 |
| 9. ვიტ ჯორჯია | 20 | 7 | 4 | 9 | 18–19 | 22 |
| 10. იბერია | 20 | 6 | 4 | 10 | 29–36 | 22 |
| 11. ოდიში | 20 | 6 | 2 | 12 | 16–31 | 20 |
| 12. სამგურალი | 20 | 6 | 2 | 12 | 18–37 | 20 |
| 13. სიონი | 20 | 5 | 4 | 11 | 18–39 | 19 |
| 14. გორდა | 20 | 4 | 7 | 9 | 14–27 | 19 |
| 15. თსუ | 20 | 3 | 7 | 10 | 15–26 | 16 |
| 16. გურია | 20 | 3 | 3 | 14 | 21–49 | 12 |

*„ვიტ ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა.*

# ნომერშია:













თვის მონაგარი

# დაიმახსოვრეთ მარტი

რაც დრო გადის, სულ უფრო მძიმდება ვითარება ქართულ სპორტულ სამყაროში. როგორც ჩანს, იმედის ლიმიტიც არსებობს და იგი მთლიანად მას შემდეგ ამოიწურა, რაც ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ სპორტისთვის ზუსტად იმდენი დოზა გაიმეტა, რაც მისი დაჩქარებული სიკვდილისთვისაა საჭირო. ვალები, რომელიც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს გადმოჰყვა და ინფლაციის გათვალისწინება, საქართველოს სპორტს ფაქტობრივად უსახსრებოდ ტოვებს. ასე რომ, მარტი თუ გაზაფხულისა და განახლების მომასწავებელია, ჩვენთვის იგი ეროვნული სპორტული მოძრაობის კვდომის ათვლის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს. იმედი? ჯერჯერობით არავითარი! ხელისუფლებას ისიც ვერ მოუხერხებია ლატარიების გათამაშების ცენტრალიზება მოახდინოს და როგორც ეს მსოფლიოშია მიღებული, სპორტს მოახმაროს შემოსავალი. ეტყობა, მძლავრი და ღონიერი ლობი დგას თითოეული ლატარიის ზურგს უკან, მათთვის კი ეროვნულზე მაღლა ხომ პირადი ინტერესები დგას.

მარტში უკვე აშკარად გამოჩნდა მშობლიური პარლამენტის „ზრუნვის“ შედეგი — ჩაიშალა არაერთი შეკრება, სპორტსმენები ვერ გაემგზავრნენ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამოსასვლელად, მოუწესრიგებელი რჩება სპორტული ბაზები. და მაინც, ყველაზე გულსატკენი ამ ფონზე ის არის, რომ პარლამენტში ერთ დეპუტატსაც კი არ გამოუთქვამს სინანული ქართული სპორტის ტრადიციების კატასტროფის წინაშე დადგომის გამო. სიტყვა არ დაუძრავთ იმ პარლამენტარებსაც კი, ვისაც ეს ევალებოდა, მით უფრო, რომ ზოგიერთი მათგანი ქართული სპორტის წინაშე ვალშია.

ვინც როგორღაც მაინც მოახერხა გასულ თვეში მონაწილეობა მიეღო სხვადასხვა შეჯიბრებებში, ქვეყანას კვლავ მოუტანეს მედლები. შიდა ცალკეულ პირველობებით და ტურნირებით კი მარტს ნამდვილად არ ეთქმის სამდურავი. აი, ქვეყნის პირველობები და ჩემპიონატები წლეულს, ალბათ, ვერ გაიმართება ისევ და ისევ უსახსრობის გამო.

საკუთარი ძალებით და ინიციატივით მარტში მასობრივი შეჯიბრებები ჩაატარა სპორტის დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელმა, განსაკუთრებით გამოიდეს თავი ბაკურიანელებმა, რომლებმაც საკუთარი შესაძლებლობებით არაერთი შეჯიბრება გამართეს, რითაც საფუძველი ჩაეყარა ტრადიციების აღორძინებას და გაჩნდა იმედი, რომ ეს შესანიშნავი კურორტი კვლავ დარჩება ჩვენს ქვეყანაში სპორტის ზამთრის სახეობის ცენტრად, ცხადია, თუ სხვებიც არ დაივიწყებენ ამ კუთხეს.

გასულ თვეში, ალბათ, ერთ-ერთი სასიხარულო მოვლენა მაინც ის იყო, რომ ჩვენმა წყალმხტომელმა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტმა ნანა ნებიერიძემ მომავალი ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა. ნინო სალუქვაძის შემდეგ იგი მეორეა ჩვენი ოლიმპიური კანდიდატებიდან, გაისად სიდნეიში ასპარეზობის უფლება რომ მიიღო.

გასული თვე გარკვეული ვნებათაღელვის თვეც იყო, განსაკუთრებით ეს ითქმის ჩვენს ფეხბურთსა და კალათბურთში მიმდინარე პროცესებზე...

## თვის საუკეთესო სპონსორი – ბაკურიანელები!

***ქართული სპორტისთვის დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ ხელშეწყობას და ქველმოქმედებას. გაითვალისწინა რა ის უდიდესი ენთუზიაზმი, რაც ბაკურიანელებმა გამოიჩინეს ტრადიციების ახალორძინებლად და საკუთარი სახსრებით შეჯიბრებების ჩასატარებლად, „ლელომ“ თვის საუკეთესო სპონსორად სცნო ბაკურიანის მაცხოვრებლები და მთლიანად ის კერძო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ბაკურიანში საქმიანობენ.***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «ბაკურიანობა-99»

## მართვეებს ასაფრენი სიმაღლე არ ჰყოფნით...

ბაკურიანშიც გაზაფხული მძლავრობს და წლევანდელი ზამთრის სპორტული სეზონის დამაგვირგვინებელ ღონისძიებად იქცა „ბაკურიანობა-99“, რომელშიაც ყველა თაობის მოთხილამურეებმა იასპარეზეს ცალკეულ სახეობებში, მათ შორის მოზარდებმა ტრამპლინიდან ხტომაში. მიუხედავად იმისა, რომ



დიდი ტრამპლინები მწყობრიდანაა გამოსული, ლეგენდარული კობა წაქაძე მაინც ძალ-ღონეს არ ზოგავს მომავალი მხტომელების აღსაზრდელად. ცხადია, იმ იმედით, რომ ახლო მომავალში აქ ტრამპლინებიც აღდგება. ოსტატი თავის შეგირდებს კუსტარულ, პატარა ტრამპლინებზე ავარჯიშებს, რომელთაგან ყველაზე დიდი 40-მეტრიანია. ჯერჯერობით ნორჩებისთვის ესეც საკმარისია. სხვა რა გზა იყო, შეჯიბრება ამჟამადაც ამ ტრამპლიზე გაიმართა. უფროსი ასაკის მოზარდებში ყველაზე შორს გადახტა არმენ მინასიანი — 167 ქულა, მეორე იყო ლევან კოზანაშვილი — 157, მესამე — გიორგი წიკლაური — 147,5.

უმცროს ასაკში ერთნაირი ქულა (107) მოაგროვეს ლევან გურეშიძემ და ვახტანგ თედიაშვილმა და ორივეს I-II ადგილები მიანიჭეს. მესამე ადგილზე გავიდა გიორგი კილაძე — 106. ასპარეზობას ჰყავდა ყველაზე უმცროსი მონაწილე — 8 წლის თორნიკე ფანქველაშვილი, რომელსაც თურმე ხშირად უმალავენ თხილამურებს, ის კი ჟინიანად მიიწევს სიმაღლისკენ, იქნებ მომავალში ოლიმპიურ სარბიელზეც გაიყვანოს ამ ჟინიანობამ.

**„ლელოს“ სპეც. კორ.**

*სურათზე: ვახტანგ თედიაშვილი (მარცხნივ) და ლევან გურეშიძე*

**კვარცხლბეკი:** ***29 კგ:*** 1. ზაურ სისაური (ყვარელი), 2. ასლან მუზაევი (ალანია), 3. შოთა ბაზალი (ყაზბეგი), გიორგი ედიშერაშვილი (თბ. „ლოკომოტივი“). ***32 კგ:*** 1. გიორგი ორთოიძე (ხარაგ.), 2. ალექსანდრე არუთინიანი (გორი), 3. ბიძინა გობეჯიშვილი (რუსთ), ზაურ ლორთქიფანიძე (ხელვაჩაური). ***35 კგ:*** 1. გიორგი მარსაგიშვილი (ყაზბეგი), 2. ასლამბეკ აბაევი (ალანია), 3. დათო ბუქური (ორს), გურამ ქაქალაშვილი (ყვარელი). ***38 კგ:*** 1. ბექა ჭელიძე (ორს), 2. მარატ აბაევი (ალანია), 3. ზურაბ ბეგიაშვილი (თედიაშვილის კლუბი), გიორგი ყიფიანი (ამბროლაური). ***41 კგ:*** 1. კობა მაქარაშვილი (ორს), 2. მურატ კარიაევი (ალანია), 3. ალექსი მოძმანაშვილი (თბ. „ლოკ“.), ალექსანდრე შავიძე (ხარაგაული). ***45 კგ:*** 1. მიხეილ მერაბიშვილი (რუსთ), 2. ნოე ჭელიძე (ორს), 3. ცოტნე ბარამიძე (გორი), თორნიკე სვანიძე (ორს). ***49 კგ:*** 1.ბექა ბეშიძე (ამბრ.), 2. მამუკა არევაძე (ხარაგ.) 3. ოლეგ კცოევი (ალანია), კახაბერ ჩიხრაძე (ამბრ.). ***54 კგ:*** 1. ნიკოლოზ გაგნიძე (თედიაშვილის კლუბი), 2. მალხაზ ქოქოლაძე (ხელვაჩაური), 3. ვახტანგ ჭანკვეტაძე (ხარაგ.), ლევან მურუსიძე (ამბრ), ***59 კგ:*** 1. დავით მოძმანაშვილი (თბ., „ლოკ“), 2. ლაშა ლობჟანიძე (ამბრ.), 3. პეტრე შარიქაძე (ხარაგ.), გიორგი ელოშვილი (თბ. „მართვე“). ***66 კგ:*** 1. გიორგი თიბილოვი (ალანია), 2. სულიკო ცაბაძე, 3. დავით იჩქიტიძე (ორივე — ხარაგ.), ალექსანდრე დოჩია („მართვე“). ***73 კგ:*** 1. გიორგი ლუსმანაშვილი (გორი), 2. გიორგი ფარესაშვილი (რუსთ.), 3. ზურაბ ქასოშვილი (თბ. „ლოკ“.), გიორგი მემანიშვილი (ამბრ.) ***+73 კგ:*** 1. აკაკი ქსოვრელი (თბ. „შევარდენი“), 2. ალექსანდრე როზიაშვილი (თედიაშვილის კლუბი), 3. ლევან ვარდიაშვილი (თბ. „ლოკ“), გიორგი კიკნაძე (ხარაგ.).

## ჩვენში კარატეს განვითარების ახალ სტიმულს აჭარა იძლევა



სტამბულში ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება კარატე-დოში, სადაც „ბოსფორის თასს“ ერთმანეთს ეცილებოდნენ 30 ქვეყნის ეროვნული ნაკრები გუნდები. ტურნირი მსოფლიოს კარატეს ფედერაციისა და ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობით მოეწყო, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, სპორტის ეს სახეობა მომავალში ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ პოპულარულ სახეობად შეიძლება იქცეს.

კახა ბასილიამ თქვა: „ბოლო სამი წელია, რაც ჩვენი ნაკრები ასეთი მასშტაბის ტურნირებში მონაწილეობს. ამჯერად ჩვენმა სპორტსმენებმა, მიუხედავად იმისა, რომ წინასაშეჯიბრო ინტენსიური მომზადება ვერ გაიარეს, სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ვფიქრობ, ამ რანგის ტურნირისათვის ეს დიდი წარმატებაა. მაგრამ უველაზე მნიშვნელოვანი წარმატება ის არის, რომ დაიწყო მოლაპარაკება მსოფლიოსა და თურქეთის კარატეს ფედერაციებთან, საერთაშორისო სემინარების და ტურნირების საქართველოში ჩატარების თაობაზე, ამ გეგმის ხორცშესხმა უკვე დაიწყო. პირველ ნაბიჯებს აჭარის რეგიონიდან გადავდგამთ, სადაც ახლო მომავალში საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. ტურნირში მონაწილეობის სურვილი რვა ქვეყანამ განაცხადა. ყოველივე ამის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ბატონ ასლან აბაშიძის თანადგომა და ავტორიტეტი. მისივე ინიციატივით ქ. ბათუმში (პირველად საქართველოში) კარატეს სპეციალიზებული სკოლა გაიხსნება. სკოლას კურირებას გაუწევს ტოკიოს კარატეს უნივერსიტეტი, რომელიც არა მარტო საქართველოსთვის, არამედ კავკასიის სხვადასხვა რეგიონისთვისაც პროფესიონალ ინსტრუქტორებს მოამზადებს. ამასთან დაკავშირებით, ბათუმში, აპრილში, დაგეგმილი გვაქვს მსოფლიოს შოტოკან კარეტე-დოს ფედერაციის ხელმძღვანელის ჰიტოში კასუიას სტუმრობა და სემინარების ჩატარება. ვიმედოვნებთ, რომ ეს დიდი წამოწყება ხელს შეუწყობს მომავალი თაობის სულიერ და ფიზიკურ გაჯანსაღებას“.

**ოთარ რუსიტაშვილი,**
**საქართველოს ფ/ა და სპორტის აკადემიის IV კურსის სტუდენტი.**

**თავისუფალი ჭიდაობა ზაზა თურმანიძის სახელობის ტურნირი**

## იმედი – ამბროლაურიდან, ყაზბეგიდან, ხარაგაულიდან...



ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელში (დირექტორი მერაბ მეტრეველი) კარგ ტრადიციად დამკვიდრდა სხვადასხვა პირველობის ჩატარება იმ ასაკის მოზარდთათვის, რომელიც სასწავლებელში მისაღებ კონტიგენტს განეკუთვნება. შერჩევის უკეთეს პრინციპს მართლაც ვერ მოიფიქრებ. ახლახან აქ ჩატარდა მიხეილ სალაძის სახელობის ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში, ახლა კი თავისუფალ ჭიდაობაში ზაზა თურმანიძის სახელობის ტურნირის ჯერი იყო. ორივე ფალავანი ამ სასწავლებელში აღიზარდა და ეს ტურნირი არა მხოლოდ მათი დაფასებაა, კარგ მაგალითს აძლევს მომავალ თაობას. ინტერესი იმდენად დიდი იყო ამ ტურნირისადმი, რომ მასში მონაწილეობისთვის ალანიის ჭაბუკი ფალავნებიც ჩამოვიდნენ თბილისში. შეჯიბრება ჩატარდა 1986-87 წლებში დაბადებულთათვის.

**ლაშა ტატიკაშვილი,**
**ფ/ა და სპორტის აკადემიის IV კურსის სტუდენტი.**

### ასპარეზობა რომ წარმომადგენლობითი იყო, ქვემოთ მოტანილი ცხრილიდანაც ჩანს

| N | ქალაქი (რაიონი) | სულ | წონითი კატეგორიები | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 29 | 32 | 35 | 38 | 41 | 45 | 49 | 54 | 59 | 66 | 73 | +73 |
| 1 | ალანია | 10 | 1 | - | 1 | 1 | 3 | - | 3 | - | - | 1 | - | - |
| 2 | ამბროლაური | 12 | - | 1 | - | 2 | - | 1 | 2 | 2 | 2 | - | 1 | 1 |
| 3 | ხელვაჩაური | 7 | - | 3 | 1 | 1 | - | - | 1 | 1 | - | - | - | - |
| 4 | გორი | 16 | - | 3 | 2 | 2 | 1 | 2 | 4 | 1 | - | - | 1 | - |
| 5 | თბ. „დინამო“ | 7 | - | 3 | - | 2 | 2 | - | 1 | - | 1 | - | 1 | - |
| 6 | თბ. „ლოკომოტ“ | 9 | 1 | 1 | - | - | 1 | 1 | 2 | - | 1 | - | 1 | 1 |
| 7 | ყაზბეგი | 6 | 3 | - | 2 | - | - | - | - | 1 | - | - | - | - |
| 8 | წალენჯიხა | 3 | - | 1 | 1 | - | - | - | 1 | - | - | - | - | - |
| 9 | რუსთავი | 19 | 3 | 4 | 1 | 2 | 2 | 3 | - | 1 | - | 1 | 2 | - |
| 10 | ხარაგაული | 9 | - | 1 | - | - | 1 | - | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 |
| 11 | მცხეთა | 10 | - | 2 | 2 | 4 | 2 | - | - | - | - | - | - | - |
| 12 | ყვარელი | 7 | 3 | 2 | 1 | - | - | 1 | - | - | - | - | - | - |
| 13 | კასპი | 3 | - | 1 | 1 | - | - | 1 | - | - | - | - | - | - |
| 14 | ხაშური | 13 | 4 | 1 | 3 | 1 | 1 | 2 | 1 | - | - | - | - | - |
| 15 | ხაშური | 5 | - | 2 | 3 | - | - | 1 | 1 | - | - | 1 | - | - |
| 16 | თედ. კლუბი | 23 | 2 | 1 | 3 | 4 | 3 | 3 | - | 3 | 1 | - | 2 | 1 |
| 17 | თბ. „შევარდენი“ | 9 | - | - | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | - | - | - | 1 |
| 18 | თბ. „მართვე“ | 18 | 2 | 2 | 2 | 4 | 2 | - | 1 | 2 | 2 | 1 | - | - |
| 19 | ოლიმპ.რეზ.სასწ. | 19 | 2 | 4 | 3 | 2 | 4 | 2 | - | - | - | 1 | 1 | - |
| | ს უ ლ | 205 | 21 | 29 | 24 | 26 | 24 | 18 | 19 | 14 | 8 | 7 | 10 | 5 |

**სიდნეი-2000 ● ჩვენი კანდიდატები**

## რუსუდან ხოფერია იბრძოლებს ლიცენზიისთვის

**სიდნეის ოლიმპიადამდე დიდი დრო აღარ დარჩა, მალე 2000 წლის ზაფხულიც მოგვადგება და ქართველ ოლიმპიელთა ვინაობაც გაირკვევა. ჯერჯერობით, მხოლოდ ტყვიის მსროლელ ნინო სალუქვაძეს და წყალმხტომელს ნანა ნებიერიძეს აქვს მოპოვებული სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზია, დანარჩენი ქართველი სპორტსმენები თავიანთ ჯერს ელიან. რა თქმა უნდა, ზოგს გაუმართლებს, ზოგს — არა.**



რუსუდან ხოფერია

ბატუტზე მხტომელი რუსიკო ხოფერია ერთი იმათთაგანია, ვისაც გაისად ავსტრალიაში ასპარეზობის რეალური შანსი აქვს. ხოფერიას ოლიმპიური მედლის გარდა, ყველა ტიტული მოგებული აქვს, ხოლო მას შემდეგ, რაც სოკ-ის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩის თავგამოდებით, შარშან, ბატუტზე ხტომა სიდნეის ოლიმპიურ პროგრამაში შეიტანეს, რუსიკოს რეალური შანსი გაუჩნდა ოლიმპიადაზე წარმატებისა.

რამდენიმე დღის წინ რუსიკო ხოფერია გერმანიიდან დაბრუნდა, სადაც თვენახევრიანი შეკრებაც გაიარა და ორ ტურნირშიც მიიღო მონაწილეობა — ჯერ ჰოლანდიაში, შემდეგ — გერმანიაში.

რუსიკო ხოფერია ჟურნალისტებს მუდამ სწყალობდა და არც ამჯერად დაიზარა მოეთხრო თავისი ბოლოდროინდელი ამბები.

● ***რუსიკო, მოდი შენი გერმანული ვიზიტით დავიწყოთ. რატომ შეყოვნდი იქ ამდენ ხანს?***

— ჩემი კოლეგა და მეგობარი, ბატუტისტი ანა დოლონაძე გერმანიაშია გათხოვილი და ამჟამად იქაურ ნაკრებში ასპარეზობს. საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციამ შარშან ზაფხულში ანას ნება დართო გერმანიის სახელით ესპარეზა. ფაქტობრივად, ანა დოლონაძის საკომპენსაციოდ გერმანულმა მხარემ ივალდებულა, რომ წლეულს ორჯერ, რამდენიმე ქართველი ტანმოვარჯიშე უფასო შეკრებას გაივლის ფრანკფურტის ცნობილ სატანვარჯიშო ბაზაზე. ამასთან, გერმანულმა მხარემ 2 ახალი ტიპის ბატუტიც უნდა გამოგვიგზავნოს.

სწორედ, ამ გარიგების ერთი ეტაპი იყო გერმანიაში ჩემი ხანგძლივი შეკრება. იქ მარტო არ ვყოფილვარ, ჩემი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი მახლდა. იქ იყო აგრეთვე ჩვენი აკრობატი ალეკო თვაური თავის მწვრთნელთან როინ პასიკაშვილთან ერთად, თუმცა, ისინი მხოლოდ ერთ თვეს დარჩნენ გერმანიაში.

ფრანკფურტში ტანვარჯიშის საუცხოო ბაზაა. შემიძლია ვთქვა, რომ მეც და ალეკომაც ნაყოფიერად ვივარჯიშეთ.

● ***უცხოურ ტურნირებზე რას იტყვი?***

— ჯერ ჰოლანდიის ქალაქ ამსტელში გამოვედი „ყვავილების თასად“ წოდებულ საერთაშორისო ტურნირში. თავიდან კარგად დავიწყე, ფინალში დიდი უპირატესობით შევედი, ძალზე რთული ილეთები შევასრულე და მაღალი კოეფიციენტის წყალობით, გამარჯვების საუკეთესო შანსი მქონდა, მაგრამ, ბოლოს, უკანასკნელი ვარჯიში დავასრულე და ბატუტზე დაშვებისას ლეიბზე დავაბიჯე — შემთხვევით მომიხვდა ლეიბზე ფეხი. მსაჯებმა 3 ქულა ჩამომაკლეს და საბოლოოდ მეოთხე ადგილზე დავრჩი. ცხადია, გულდასაწყვეტი იყო ეს მოულოდნელი წარუმატებლობა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ კარგ ფორმაში ვარ და შემიძლია ძლიერი მეტოქეების გამკლავება. ჰოლანდიური ტურნირი საკმაოდ მაღალი დონისა იყო, ბევრი ცნობილი და ტიტულოვანი სპორტსმენი მონაწილეობდა და IV ადგილი ამგვარ ტურნირზე საკმაოდ სერიოზული წარმატებაა.

● ***რაც შეეხება გერმანულ ტურნირს, ის შედარებით დაბალი დონისა იყო?***

— ფაქტობრივად ეს იყო გერმანიის ფედერაციის ჩემპიონატი, მასში ყველა უძლიერესი გერმანელი ბატუტისტი ასპარეზობდა. მე კონკურსგარეშე დამიშვეს, რაკი უცხოელი ვიყავი. ტურნირს „ჰესენის თასი“ ერქვა და ქალაქ გროზგეროუში გაიმართა. მართალია, თასი არ მარგუნეს უკონკურსოდ მოასპარეზე უცხოელს, მაგრამ მონაწილეთაგან საუკეთესო ვიყავი. ეგ კი არა, პარალელურად ვაჟებიც ასპარეზობდნენ და ჩემს შედეგს — კოეფიციენტის სირთულეს, ვერც გერმანელი ვაჟები შესწვდნენ და მათაც ვაჯობე.

● ***ანა დოლონაძე თუ ნახე გერმანიაში?***

— კი, ვნახე. ანას საქართველოს პრეზიდენტმა შარშან, წლის მიწურულს, ღირსების ორდენი მიანიჭა. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, რომ პირადად ანასთვის გადაეცა პრეზიდენტს ეს ჯილდო, ამიტომ ორდენი გერმანიაში ჩავუტანეთ ანას. იქვე იყო ჩამოსული საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის-პრეზიდენტი ბატონი ომარ დონლაძე და მან გადასცა ეს ჯილდო ანას, ასე ვთქვათ, საზეიმო ვითარებაში.

ანა კარგად არის, საუცხოო ფორმაშია და ვარჯიშობს. სერიოზულად ემზადება წლეულსვე ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად.

● ***სასიდნეოდ, ბატუტისტთაგან, უპირველესად შენი გვეიმედება. ვფიქრობთ, იმედები გამართლდება. ვიცით, რომ ვაჟი ბატუტზე მხტომელები უცხოეთის საცირკო დასებში არიან მიმოფანტულნი. რას აკეთებს ჩვენი ტანვარჯიშის ფედერაცია მათ დასაბრუნებლად? მით უმეტეს, თავად ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ხარ და სხვაზე მეტად შენ გეხება ეს პრობლემა.***

— სასიხარულოა, რომ უკვე ცალად არ მომიწევს ლიცენზიისათვის ბრძოლა. ახლახან დაბრუნდა ზაზა აბრამაშვილი — უწინ საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ბატუტისტი. მას კონტრაქტი დაუმთავრდა ამერიკელებთან და ჩამოვიდა საქართველოში, დაუბრუნდა ბატუტს, ვარჯიშიც დაიწყო. მისი ძალიან დიდი იმედი გვაქვს. მეტს ვერაფერს გეტყვი, სჯობს თავად ზაზას დაელაპარაკო.

● ***შენს სამომავლო გეგმებზე რას იტყვი?***

— ფაქტობრივად, ოქტომბრიდან თებერვლამდე ბატუტზე არ დავმდგარვარ, მხოლოდ მომზადებაში ვვარჯიშობდი „ლაგუნა-ვერეს“ სატრენაჟორო დარბაზში, რისთვისაც მადლიერი ვარ ამ კომპლექსის დირექტორის ბატონ ვლადიმერ გოიაშვილის. გერმანიაში შეკრებაზე საშუალება მომეცა დაკარგული ამენაზღაურებინა. ახლა კვლავაც ბატუტზე განვაგრძობ მეცადინეობას, ჯერჯერობით ჩვენს, მოძველებულ საბჭოურ ბატუტზე. მალე, ალბათ, გერმანელთა მიერ შეპირებული ბატუტებიც ჩამომისწრებს და სრულფასოვანი ვარჯიშის საშუალებაც მექნება. რადაც უნდა დამიჯდეს, ოლიმპიური ლიცენზია უნდა მოვიპოვო, თუმცა, მანამდე მსოფლიოს თასის ეტაპებია გერმანიის ქალაქ აახენში და ლენინგრადში, ერთ ეტაპზე, ვფიქრობ, ვიასპარეზებ. ამავე პერიოდს ემთხვევა კრასნოდარში რუსეთის ღია ჩემპიონატი და, მსურს, იქაც გამოვიდე. მთავარია, დაფინანსება იყოს, თორემ ტურნირები უამრავია და მეც მზად ვარ, შევეცადო თავგამოჩენა ნებისმიერ შეჯიბრებაზე. ალბათ, მალე ზუსტად მეცოდინება, სად, როდის და რომელ შეჯიბრებაში ვცდი ძალებს.

**ესაუბრა ჯავარ ლეონიძე**

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II წრე)

# პირველი ჯგუფი XX ტური

### მერანი-91 (თბილისი) — სიონი (ბოლნისი) 2-0

*მერანი:* ლომაია, ბ. ამბიძე, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, ჰინჭარაული, გელა ქორიძე (ცქიფურიშვილი, 85), დ. ჯიშკარიანი, თოლორდავა, კარიაული, ხუციშვილი, დავითაშვილი.
*სიონი:* გუგუნავა, ჯ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე (ხარებაშვილი, 46), ლ. ამბიძე, მ. სამხარაძე, სულთანოვი (ნ. ჩალაძე, 73), მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, გაგუა (გ. ჩალაძე, 25), ხიდაშელი.
*გოლები:* თოლორდავა (35), ბ. ამბიძე (77).
*გააფრთხილეს:* ხიდაშელი.
*მსაჯი:* ალექსანდრე კრიჭაშვილი (თბილისი).

საფრანგეთის ეროვნული გუნდის სათამაშო ფორმით გახსივოსნებულმა ბოლნისელებმა „სინათლეზე" მედგარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს სტუმრებს. „სიონმა" ისეთი თამაში აჩვენა, როგორიც აუტსაიდერს შეშვენის. მაინცდამაინც ვერც „მერანმა" მოგვაწონა თავი, ოღონდ ის კია, რომ კლასით და ცალკეული მოთამაშეების ოსტატობით აშკარად ჯაბნიდნენ მეტოქეს.

ბევრს მატებს „მერანს" ბახვა ამბიძის თამაში — ამ ფეხბურთელის დაბრუნებით ტრანსპორტელთა გუნდის ნახევარდაცვა მკვეთრად მოღონიერდა. მეორე წრეში თამაშს მოუმატა მიხეილ ხუციშვილმა, რომელიც მარჯვენა ფრთიდან შეტევების ორგანიზატორადაც კი მოგვევლინა ამ მატჩში. „მერანს" შეიძლება ითქვას, რომ დიდი ჯაფა და გარჯა არ მოუწია ბოლნისელთა ძლევისთვის. აღნიშვნის ღირსია მერანელთა დაცვის ბურჯის, 20 წლის გიორგი დავითნიძის კარგი თამაში, რომლის შეტევაში ჩართვასაც „სიონის" კარის მეორედ აღება მოჰყვა — ამბიძემ დავითნიძის თავურს ზუსტად გასროლილი ცაცია მოაყოლა. პირველი გოლი კი თოლორდავამ ხუციშვილის გამოზომილი ფლანგური ფანდების შედეგად გაიტანა ახლო მანძილიდან. ასეა თუ ისე, უღიმღამო, მდარე სანახაობა ლოგიკურად დასრულდა. იმედი ვიქონიოთ, რომ „სიონი" ბოლო ტურებში მაინც გამოიჩენს ფხას, „მერანი" კი ალბათ უფრო ძლიერ მეტოქეებთან დაგვანახვებს თუ რისი პოტენცია გააჩნია.

დათო თავართქილაძე


*ბახვა ამბიძის დაბრუნებით (ფოტოზე ცენტრში) „მერანი" მოღონიერდა*

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

### ლოკომოტივი (თბილისი) — იბერია (სამტრედია) 2-0

**ლოკომოტივი:** ჯანელიძე, ბალაშვილი, ბაქრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი (ქოიავა, 85), ვ. კილასონია, კაციაშვილი, ხუჯაძე, დაუშვილი, დ. გოდერძიშვილი, წივწივაძე (კოტორაშვილი, 81).
**იბერია:** დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, თოდუა, მუმლაძე, ხუჭუა (გიორგაძე, 84), ლურსმანაშვილი, ივეჩიანი, ვარდიაშვილი.
**გოლები:** კილასონია (20), წივწივაძე (52).
**მსაჯი:** ლევან ფანიაშვილი (თბილისი).

### დილა (გორი) — ოდიში (ზუგდიდი) 1-0

**დილა:** სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, ხაჭაპურიძე, სამხარაძე, აკოფიანი, ხ. გაგნიძე, მარეხაშვილი (ციცქიშვილი 71), ლომიძე, ლ. გოჩაშვილი (მ. მინდიაშვილი, 59), რ. ახალკაცი, შატაკიშვილი.
**ოდიში:** გოგია, გაბისონია, კაკულია, აკობია, თოდუა, ცაცუა (შეყანია, 82), ტაბაღუა, იოსავა, გოგოხია, ალანია, გვიჩია.
**გოლი:** მარეხაშვილი (38).
**გააფრთხილეს:** აკოფიანი, მინდიაშვილი, შატაკიშვილი, გაბისონია, თოდუა, ცაცუა, გვიჩია.
**მსაჯი:** სოსო კახიანი (თბილისი).

### სამგურალი (წყალტუბო) — კოლხეთი-1913 (ფოთი) 0-1

**სამგურალი:** ასლანაძე, ჯავახაძე (გ. კილასონია, 28), ლ. ქობულაძე, ფრანგიშვილი, ვოსკანოვი, გ. ძაგნიძე, მ. აფციაური, ჯინჭარაძე (რ. ქუთათელაძე, 63), გიორგობიანი, სუხიაშვილი, გ. შენგელია.
**კოლხეთი-1913:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, შალამბერიძე, ღაღანიძე, ჩადუნელი (ბულუხია, 83), ანჯაფარიძე (ბურკვაძე, 86), ე. გვასალია (შავგულიძე, 79), კალანდაძე, მ. ქობულაძე.
**გოლი:** ღაღანიძე (82).
**გააფრთხილეს:** ფრანგიშვილი, აფციაური, სუხიაშვილი, გოროზია, ტორჩინავა, შალამბერიძე.
**მსაჯი:** თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

### გურია (ლანჩხუთი) — დინამო (ბათუმი) 0-1

**გურია:** ნიკურაძე, თ. ჩხაიძე, ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, სვანიძე, გულორდავა (შავშიშვილი, 74), ძოძუაშვილი, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე, ბოლქვაძე.
**დინამო:** ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, მინდაძე, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, ღლონტი, გადელია, ხომერიკი.
**გოლი:** ხომერიკი (63).
**გააფრთხილეს:** ღლონტი.
**მსაჯი:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

### ტორპედო (ქუთაისი) — ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 0-1

**ტორპედო:** ჭანტურია, ახვლედიანი, ჩხაბერიძე (კ. კვეტენაძე, 68), ხვადაგიანი, მაზანაშვილი, შეყრილაძე, ჩხეტიანი, მაღლაკელიძე, დ. ჯანაშია, მეტრეველი (იმედაძე, 46), იონანიძე.
**ვიტ-ჯორჯია:** ჭურაძე, ჭანკოტაძე, ვ. მაისურაძე, ქემოკლიძე, ჯ. მუჯირი, კ. ალადაშვილი, ზ. გვაზავა, ი. კაპანაძე, ნოზაძე, გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (ერაძე, 84).
**გოლი:** ნოზაძე (23).
**გააფრთხილეს:** ხვადაგიანი, კაპანაძე, ახვლედიანი.
**მსაჯი:** ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

# გია გურული — საქართველოს ნაკრებზე, თავის სამწვრთნელო კარიერაზე და... „დაგვიანებულ" ტრავმაზე

**ჩვენთან რომ კვალიფიცირებულ მწვრთნელთა დეფიციტია, ეს ყველას კარგად მოეხსენება. თუმცა, სამომავლოდ გარკვეული იმედებიც მოსჩანს — არ არის გამორიცხული, რომ უკვე წელსვე რამდენიმე ქართველი მწვრთნელი იტალიაში, კერძოდ, კოვერჩიანის მწვრთნელთა მომზადების ცნობილ ცენტრში გაემგზავროს.**



არც ის არის გამორიცხული, რომ საქართველოს მალე უცხოეთში მიღებული დიპლომიანი (გნებავთ, ლიცენზიანი) მწვრთნელი შეემატოს — გია გურულს ვგულისხმობთ. ალბათ, გეცნობათ სახელი და გვარი, არა? დიახ, ის გია გურული, სულ ახლო წარსულში თბილისის „დინამოს", პოლონეთის გკსსა და საფრანგეთის „ჰავრის" უპირველესი გოლიადორი რომ გახლდათ. გურულმა, საფრანგეთში მოთამაშე პირველმა (და ამასთან უკანასკნელმაც) ქართველმა ლეგიონერმა, თავისი მდიდარი საფეხბურთო კარიერის ბოლო წლები შედარებით დაბალი რანგის კლუბებში გააგრძელა („დიუნკერკი", „კალე", „ბულონი"). შარშან ზაფხულში კი ძალიან მძიმე არჩევანის წინაშე დამდგარმა — მწვრთნელთა სკოლა, ბიზნესი თუ აქტიური ფეხბურთი, პირველი ორი აირჩია. რას ვიზამთ, როგორც თვითონ განაცხადა, დროც აღარ იყო „სამ ფრონტზე ებრძოლა" და ასაკსაც (34 წელი) თავისი გაჰქონდა. ისე, არ დავმალავთ და წინა კვირას ბევრი ვცადეთ გია გურულთან საფრანგეთში დაკავშირება, მაგრამ უშედეგოდ. და აი, საქართველო-სლოვენიის ნაკრების შეხვედრისას სასიამოვნო სიურპრიზი (თამაშზე, რა თქმა უნდა, არა გვაქვს საუბარი) გველოდა — თავის ბავშვობისდროინდელ მეგობარ და ასევე ყოფილ დინამოელ მალხაზ არზიანთან ერთად ჩვენებს გია გურულიც ქომაგობდა:

— სადაც ვმუშაობ, იმ ფირმის საქმეებზე ვიყავი დონის როსტოვში და რა გული გამიძლებდა, საქართველოს ნაკრების თამაში არ მენახა. მართალია, ორ დღეში ყველას ნახვას ვერ მოვასწრებ, მაგრამ, თამაშს ხომ მაინც ჩამოვუსწარი?..

● ***ბოლოს როდის იყავი თბილისში?***

— ორი წლის წინათ და მაშინაც რამდენიმე დღით — საბუთებს ვაგროვებდი იქაურ მწვრთნელთა სკოლაში წარსადგენად.

● ***და როდის ვიხილავთ გია გურულს, როგორც მწვრთნელს?***

— ამ ეტაპზე ჩემი დიპლომით ნებისმიერ სამოყვარულო კლუბში შემიძლია მუშაობა. რაც შეეხება პროფესიონალურ გუნდებთან ჩემს ურთიერთობას, ამისათვის კიდევ ექვსკვირიანი კურსის გავლა დამჭირდება და ალბათ, წელს ამას როგორმე მოვახერხებ.

● ***ალბათ, რომ ამბობ, გამოცდები ძალიან რთული?***

— არა, გამოცდები, საერთოდ არც არის — გაივლი სპეციალურ კურსს და ლიცენზიაც ავტომატურად გეძლევა. უბრალოდ, სამსახურში ვარ ძალიან დაკავებული, თანაც ხშირად შორეულ მივლინებებშიც მიწევს მოგზაურობა — ხან მურმანსკიო, ხან როსტოვიო...

● ***სადაც მუშაობ, თუ იციან, რომ ყოფილი ფეხბურთელი ხარ?***

— რას ჰქვია, იციან. ჯერ ერთი, როცა ვთამაშობდი, ოჯახის წევრების შემდეგ ყველაზე დიდი გულშემატკივრები ჩემი თანამშრომლები იყვნენ. თანაც, ფირმის დირექტორი, თავადაც ყოფილი ფეხბურთელია და წარმოიდგინე, თბილისშიც არის ნამყოფი.

● ***ვინ არის?***

— წარმოშობით დანიელია, გვარად აგერბეკი და 1978 წელს ჩვენი „დინამო" დასავლეთ ბერლინის „ჰერტას" რომ შეხვდა, სტუმართა გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო მაშინ.

● ***ისე, საბოლოო არჩევანი საითკენ დაიხრება — ბიზნესისკენ თუ მწვრთნელობისკენ?***

— ახლა, ამ ეტაპზე ძალიან ძნელია ზუსტი პასუხის გაცემა. თუმცა, ალბათ, მაინც მწვრთნელობისკენ, მაგრამ დიპლომი ან ლიცენზია მაინც არ არის, ჩემის აზრით, უმთავრესი კრიტერიუმი. რაღაც ეტაპები უნდა გაიარო, გარკვეული გამოცდილებაც შეიძინო და უკვე შემდეგ უნდა გაგიჩნდეს პრეტენზია მწვრთნელობაზე...

● ***როგორც მომავალი მწვრთნელი არა, მაგრამ როგორც ყოფილი ფეხბურთელი, საქართველოს ნაკრების თამაშს როგორ შეაფასებდი?***

— გულახდილად ვიტყვი — სლოვენია ნაღდად არ იყო ის გუნდი, ჩვენებს რომ ვერ მოეგოთ. კი, გასაგებია, რომ ძალიან ბევრი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა ჩვენს ნაკრებს, მაგრამ ამ შემადგენლობასაც არ უნდა გასჭირვებოდა სამი ქულის მოპოვება.

● ***და მაინც, შენი აზრით, რა იყო ჩვენების ასეთი უფერული თამაშის მიზეზი?***

— საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი ჰყავს და მისი კომპეტენციაა, რომელი ფეხბურთელი სად ათამაშოს, მაგრამ ჩემთვის ბევრი რამ გამოცანად დარჩა. მაგალითად, ჯამარაულს მარჯვნივ რა უნდოდა? წინ და უკან ირბენს ფლანგზე, თუ რა? ან კიდევ, ლობანოვსკი გიჟი ხომ არ არის კალაძეს მარცხენა მცველად ან „საყრდენად" რომ ათამაშებს? აქ კიდევ „ლიბეროდ" მოგვევლინა, არადა, მაგ ადგილას სხვანაირი, თანაც უფრო გამოცდილი ფეხბურთელის გამოყვანა იქნებოდა უპრიანი.

● ***ჩვენებიდან რომელი ფეხბურთელი მოგეწონა?***

— აი, ზაზა ჯანაშიამ, რომ იტყვიან, მართლა დამარწმუნა — ტიპიური ცენტრფორვარდია, მაგრამ კიდევ უკეთესადაც შეიძლება მისი გამოყენება. ეგ კი არა, ამას წინათ, მურმანსკიდან ჩვენმა პარტნიორმა დარეკა ფირმის ოფისში და პირდაპირ მე მომიკითხა — თქვენმა თანამემამულემ გუშინ გვასახელა (ჯანაშიამ „მაკაბის" რომ სამი ბურთი გაუტანა) და დიდი მადლობაო. გაგიხარდება კაცს, აბა, რა იქნება — იმ დღეს თანამშრომლებს სულ ზემოდან დავყურებდი...

● ***გია, როგორ ფიქრობ, ჩვენებს ფინალურ ეტაპზე გასვლის თეორიული შანსიც აღარ დარჩათ?***

— შანსი, როგორ არ არის — ლატვიამ თუ მოუგო ნორვეგიას, შენ რატომ ვერ უნდა აჯობო. მაგრამ, სხვებისგანაც ვიცი, რომ ჩვენს ნაკრებში დღეს არცთუ ჯანსაღი სიტუაციაა, ვგულისხმობ მთავარ მწვრთნელსა და ზოგიერთ წამყვან ფეხბურთელს შორის ურთიერთობას. საერთოდ, მწვრთნელი, პირველ ყოვლისა, კარგი ფსიქოლოგი უნდა იყოს — ზოგ ფეხბურთელს დაუყვავება უხდება, ზოგს — გაჯავრება. შემდეგ დისციპლინაც უნდა გქონდეს გუნდში, ოღონდ, იმას კი არ ვგულისხმობ, ყველა „სმენაზე" დააყენო. არა, სათამაშო დისციპლინას ვგულისხმობ.

● ***ისე, გეტყობა, ჩვენი ნაკრების შიდა პრობლემებზე კარგად ყოფილხარ ინფორმირებული...***

— კარგად თუ ცუდად, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ის კი ვიცი, რომ ასე ხელაღებით ნაკრების გაახალგაზრდავებას არავისთვის ხეირი არ მოუტანია და რაღა ჩვენ ვიქნებოდით გამონაკლისი? ანდა ვერაფრით გამიგია ძველი ბირთვის ასე თითქმის ერთდროულად მოცილება — კი, სულ ერთი და იგივე ფეხბურთელი წლების მანძილზე ერთ დონეზე ვერ ითამაშებს, მაგრამ დებიუტანტების გამოცდაც ნელ-ნელა, ანუ ეტაპობრივად უნდა ხდებოდეს. და საერთოდ, როცა მწვრთნელი საკუთარი გუნდის ყველა წარუმატებლობას სისტემატურად თავის ფეხბურთელებს დააბრალებს, ჩემი აზრით, უკვე იმას ნიშნავს, რომ იგი თანამდებობიდან უნდა წავიდეს...

● ***და ბოლოს, კიდევ ერთი კითხვა — აქტიურ სპორტთან კავშირი საერთოდ გაწყვიტე?***

— არა, და ნეტავ აღარ გავკარებოდი ბურთს. კვირაობით ვთამაშობ ხოლმე, აი, გართობა რომ ჰქვია და ამას წინათ, მუხლი ისე მეტკინა, ვშიშობ მყესები არ იყოს დაზიანებული. არადა, როგორია, 17 წელიწადი ვთამაშობდი სხვადასხვა დონეზე და სერიოზული ტრავმა რა იყო, არც ვიცოდი, ახლა კი, საფრანგეთში ჩასვლისთანავე ექიმებს უნდა მივაკითხო — ძალიან დიდი შანსია, რომ ოპერაციაც დამჭირდეს...

ესაუბრა
გია ტუხაშვილი

## XX ტურის სტატისტიკა

● ტურის *სენსაციად* შეიძლება ჩაითვალოს თბილისის „დინამოს" ზედიზედ რვა გამარჯვების შემდეგ ფრედ დამთავრებული მატჩი და ქუთაისის „ტორპედოს", ზედიზედ მეორე მარცხი (აქედან პირველად საკუთარ მინდორზე).
რაც შეეხება „არსენალს" მან, გაიმარჯვა ზედიზედ 6 წაგებული მატჩის შემდეგ, ლანჩხუთის „გურია" აგრძელებს წაგებათა სერიას — 9 მატჩია არ გაუმარჯვია. ხოლო რუსთავის „გორდას" ზედიზედ სამი მატჩია, გოლი არ გაუტანია.
● სულ ტურში გავიდა 9 გოლი (საშუალოდ მატჩში 1,1 ბურთი). ეს არის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გატანილი გოლების მხრივ წინა ტურებთან შედარებით.
მასპინძლებმა გაიტანეს 6 ბურთი, სტუმრებმა კი — 3
პირველ ნახევარში გატანილია 4 ბურთი, მეორეში — 5.
● ტურში 11-მეტრიანი არ დანიშნულა.
● ტურში „მშრალად" შეინახეს თავიანთი კარი შემდეგი გუნდების მეკარეებმა: მ. გვასალიამ („კოლხეთი-1913") — პირველად; გ. გაბელიამ („თსუ") 3-ჯერ; რ. სოლოლაშვილმა („დილა") და ნ. ტოგონიძემ („დინამო" ბთ) 5-5-ჯერ; თ. ჩლაიძემ („არსენალი") და გ. ლომაიამ („მერანი-91") 7-7-ჯერ; ს. ჭურაძემ („ვიტ-ჯორჯია) 8-ჯერ; დ. გვარამაძემ („დინამო" თბ) 9-ჯერ; დ. ჯანელიძემ („ლოკომოტივი") 12-ჯერ.
● ტურში ერთი ფეხბურთელი (მიქაძე — „დინამო" თბ) გააძევეს, 25 კი გააფრთხილეს. ყველაზე უხეში მატჩი იყო: „დილა" — „ოდიში", რომელშიც 7 ფეხბურთელი გააფრთხილეს.

● **ბომბარდირები:**
მ. აშვეთია („დინამო" თბ) — 18 ბურთი
ზ. იონანიძე („ტორპედო") — 15
პ. წივწივაძე („ლოკომოტივი") — 12
დ. მახარაძე („გურია") — 12
ე. გვასალია („კოლხეთი") — 11
ლ. ხომერიკი („დინამო" ბთ) — 10
გ. მეგრელაძე („ტორპედო") — 9
ა. კაიდარაშვილი („დილა") — 9
რ. ალექსიძე („დინამო" თბ) — 8
ლ. ცქიტიშვილი („დინამო" თბ) — 8
დ. ჯანაშია („ტორპედო") — 8

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი. სოფ. ფშაფი

## ჩვენი ფეხბურთის გულშემატკივრებს ბოროტი ხულიგნობისთვის გაასამართლებენ

საქართველო-სლოვენიის საფეხბურთო მატჩზე უბილეთოდ შესვლის მრავალრიცხოვანმა გულშემატკივარმა, მას შემდეგ, რაც ვერ მიაღწიეს საწადელს, როგორც ცნობილია, დაარბიეს ეროვნული სტადიონის მიმდებარე ტერიტორია— დალეწეს 80 ავტომანქანა და მუშტაიდის ბაღის ქონება. პოლიციამ ადგილზე დააკავა 40-მდე მოძალადე, მათ შორის უმრავლესობა მოზარდი იყო, არეულობაში მონაწილე 6 სრულწლოვანი კი სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული. მათ 3 დან 6 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

„ბუმათე"

## გამართა ევრო-2000-ის შესარჩევი მატჩები

EURO 2000

### I ჯგუფი

*იტალია – ბელორუსია 1-1*
*შვეიცარია – უელსი 2-0*

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 3 | 1 | 0 | 7-2 | 10 |
| შვეიცარია | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| უელსი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-7 | 6 |
| დანია | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |
| ბელორუსია | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |

### II ჯგუფი

*ლატვია – საბერძნეთი 0-0*
*სლოვენია – ალბანეთი (გადაიდო).*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| ნორვეგია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| საბერძნეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-4 | 6 |
| სლოვენია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| საქართველო | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| ალბანეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |

### III ჯგუფი

*გერმანია – ფინეთი 2-0*
*მოლდოვა – ჩრ. ირლანდია 0-0*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 4 | 3 | 0 | 1 | 8-2 | 9 |
| თურქეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| ფინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| ჩრ. ირლანდია | 5 | 1 | 2 | 2 | 3-8 | 5 |
| მოლდოვა | 5 | 0 | 2 | 3 | 5-10 | 2 |

### IV ჯგუფი

*უკრაინა – ისლანდია 1-1*
*რუსეთი – ანდორა 6-1*
საფრანგეთი – სომხეთი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 8-3 | 11 |
| უკრაინა | 5 | 3 | 2 | 0 | 8-3 | 11 |
| ისლანდია | 5 | 2 | 3 | 0 | 5-2 | 9 |
| რუსეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 13-8 | 6 |
| სომხეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| ანდორა | 5 | 0 | 0 | 5 | 2-15 | 0 |

### V ჯგუფი

*პოლონეთი – შვედეთი 0-1*
*ლუქსემბურგი – ბულგარეთი 0-2*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 6-1 | 12 |
| ინგლისი | 4 | 2 | 1 | I | 7-3 | 7 |
| პოლონეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-4 | 6 |
| ბულგარეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 4 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-10 | 0 |

### VI ჯგუფი

*სან-მარინო – ესპანეთი 0-6*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 19-4 | 9 |
| კვიპროსი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-8 | 9 |
| ისრაელი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-3 | 7 |
| ავსტრია | 4 | 2 | 1 | 1 | 8-11 | 7 |
| სან-მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 1-20 | 0 |

### VII ჯგუფი

*ლიხტენშტეინი – პორტუგალია 0-5*
*აზერბაიჯანი – რუმინეთი 0-1*
*სლოვაკეთი – უნგრეთი 0-0*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 5 | 4 | 0 | 1 | 18-2 | 12 |
| რუმინეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 10-1 | 11 |
| უნგრეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-4 | 8 |
| სლოვაკეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-3 | 8 |
| ლიხტენშტ. | 5 | 1 | 0 | 4 | 2-22 | 3 |
| აზერბაიჯანი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-17 | 0 |

### VIII ჯგუფი

*ხორვატია – მალტა (გადაიდო)*
*იუგოსლავია – მაკედონია (გადაიდო)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-1 | 6 |
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| მაკედონია | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| მალტა | 5 | 0 | 0 | 5 | 2-18 | 0 |

### IX ჯგუფი

*შოტლანდია – ჩეხეთი 1-2*
*ლიტვა – ესტონეთი 1-2*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 12-3 | 15 |
| ესტონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 11-9 | 7 |
| შოტლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| ლიტვა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| ბოსნია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| ფარერ. კუნ-ბი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-9 | 1 |

# ბრწყინვალე დუეტი: ოუენი – ფაულერი

მაიკლ ოუენი და რობი (რობერტ) ფაულერი ახალგაზრდა ფეხბურთელებია. ინგლისელ კომენტატორთა აზრით, თუ ვინმეს შეუძლია მათ ნაკრებს უახლოეს წლებში დიდება მოუტანოს, ეს, პირველ რიგში, „ლივერპულის" თავდამსხმელთა დუეტი იქნება.

მოკლე მონაცემები: რობი ფაულერი დაიბადა 1975 წლის 9 აპრილს ლივერპულში. კლუბ „ლივერპულის" აღზრდილია. ამ გუნდში 1993 წლიდან თამაშობს. ინგლისის ნაკრებში 10-ჯერ ითამაშა. ოფიციალურ მატჩებში 142 გოლი გაიტანა. მაიკლ ოუენი დაიბადა 1979 წლის 14 დეკემბერს ჩესტერში. კლუბ „ლივერპულის" აღზრდილია. ამ გუნდში 1997 წლიდან თამაშობს. ინგლისის ნაკრებში 10-ჯერ ითამაშა. ოფიციალურ მატჩებში 44 გოლი გაიტანა.

როცა „ლივერპულმა" კალენდარულ მატჩში „საუთჰემპტონი" გაანადგურა, მისმა ფრანგმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ განაცხადა: „ეს მატჩი ნათლად პასუხობს იმ ადამიანებს, რომლებიც მაიკლისა და რობის ერთად თამაშს შეუთავსებლად თვლიან. ეს ორი თავდამსხმელი, რა თქმა უნდა, თამაშის მანერით ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ მათ ესმით ერთმანეთისა, უყვართ ერთმანეთისთვის თამაში. მათ მოქმედებას ჩემთვის დიდი სიამოვნება მოაქვს".

როგორც ექსპერტები ფიქრობენ, ფაულერი და ოუენი სულ უფრო დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ ინგლისურ გუნდებს არ სჭირდებათ კლასიკური მძლავრი, ბრგე, ცენტრალური თავდამსხმელი. უკვე არაერთი სეზონია ცაცია ფაულერი თავზარს სცემს ინგლისის პრემიერლიგას. ოუენი კი, თუმცა მხოლოდ 19 წლისაა, უკვე გახდა მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავი, მას შემდეგ, რაც ბრწყინვალედ ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატში. ყველას დაამახსოვრდა მისი ბრწყინვალე გოლი არგენტინის ნაკრების კარში. თვით ალექს ფერგიუსონიც კი, „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი, რომელიც „ლივერპულს" თავის კონკურენტად თვლის, ამბობს: „ოუენი დიდებულია! განმაცვიფრა მისმა თამაშმა საფრანგეთში. მისი საბრძოლო მზადყოფნა, მისი ენერგია პირდაპირ გასაოცარია".

ლივერპულის ტანდემს შესათამაშებლად საკმაო დრო დასჭირდა, რადგან დასაწყისში ითვლებოდა, რომ სჯობს ოუენმა გერმანელ კარლჰაინც რიდლესთან წყვილში ითამაშოს. რიდლეს, სანამ ოუენს გადასცემდა, მშვენივრად შეეძლო ბურთის ტარება, ოუენ-ფაულერის დუეტი კი დასაწყისში ისე გამოიყურებოდა, რომ თავდამსხმელებს ნაკლებად ესმოდათ ერთმანეთისა და თავისთვის თამაშობდნენ. მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, ფორვარდები უკეთ და უკეთ უგებდნენ ერთმანეთს. როგორც ინგლისელი კომენტატორები აღნიშნავენ, 40 წელია „ლივერპულს" დიდი თავდამსხმელები ჰყავს: 60-იან წლებში იან სენტ-ჯონი და როჯერ ჰანტი, 70-იან წლებში – კევინ კიგანი და ჯონ ტოშაკი, 80-იან წლებში – იან რაში და კენი დალგლიში. ეს ასეა, მაგრამ ახლა ოუენ-ფაულერის დუეტმა ყველა მათგანს უნდა გადააჭარბოს. თუკი წარსულის ამ ტანდემების თამაშს გავიხსენებთ, ერთი მათგანი საგოლე მომენტებს ქმნიდა, მეორეს კი გოლები გაჰქონდა.


ოუენი


ფაულერი (მარჯვნიდან მეორე)

რაც შეეხება ოუენსა და ფაულერს, მათ ერთიც შეუძლიათ და მეორეც, საგოლე მომენტებსაც ქმნიან და გოლებიც გააქვთ... ფაულერი 1998 წლის თებერვლიდან სექტემბრამდე, მძიმე ტრავმის გამო არ თამაშობდა, მაგრამ შემდეგ სავსებით გამოჯანმრთელდა და მაღალ საბრძოლო მზადყოფნას მიაღწია. მან ინგლისის ჩემპიონატში 100 გოლი გაიტანა. ამ თვალსაზრისით მას მოქმედი ფეხბურთელებიდან მხოლოდ ალან შირერი, ლეს ფერდინანდი და იან რაიტი ალემატებიან.

მაიკლ ოუენი შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი იყო. ეს წარმატება შეიძლება წელსაც გაიმეორის. აგვისტოში „ლივერპულთან" ოუენმა ახალ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. კლუბთან ხელშეკრულება რობი ფაულერმაც განაახლა. ვრცელდებოდა ხმები, რომ რობი მიბაძავდა სტივ მაკმანამანს და სეზონის დამთავრების შემდეგ მადრიდის „რეალში" გადაბარგდებოდა. „ჩემთვის ძალზე საწყენი იყო გაზეთებში იმის წაკითხვა, თითქოს მე და მაკმანამანს მხოლოდ ფული გვაინტერესებს. სტივი „რეალში" იმიტომ გადადის, რომ აინტერესებს, როგორ გამოუვა თამაში საზღვარგარეთ, მე კი ასეთი განზრახვა არასოდეს მქონია. ის, თითქოს „არსენალთან" მოლაპარაკება მქონდა – წმინდა წყლის მონაჭორი გახლავთ". ფაულერი აცხადებს, რომ ბედნიერია მშობლიურ ქალაქში ისეთი პარტნიორის მხარდამხარ ითამაშოს, როგორიც ოუენია. „ჩვენ ახლაც ბევრი გოლი გაგვაქვს, მაგრამ ისიც ვიცით, რომ მეტის გაკეთებაც შეგვიძლია. როგორც მოგეხსენებათ, საჭიროა დრო, რომ ერთმანეთს კარგად ავუბათ მხარი, უფრო ეფექტურად დავიწყოთ მოქმედება. პარტნიორს უნდა გრძნობდე, და როცა ამას მიაღწევ, შემდეგ თამაში ადვილდება".

ფაულერსა და ოუენს მაღალი შეფასება მისცა „ლივერპულის" მოთამაშემ, შემდეგ კი მწვრთნელმა კენი დალგლიშმა. იგი ფიქრობს, რომ მათთვის ადგილი მსოფლიოს ნებისმიერ კლუბში მოიძებნება. ისინი ცალ-ცალკეც ძალიან სახიფათონი არიან, მაშინ კი, როცა ერთად მოქმედებენ... დალგლიში აღტაცებულია ოუენის თამაშით და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს: „ის თანხა, რომელიც კონტრაქტის ხელმოწერაზე გადაუხადეს, უკვე ყველაფერზე მეტყველებს. შეიძლება ითქვას, ოუენმა უკვე იმდენი ფული მიიღო, რომ შეუძლია თავისი სიცოცხლის ბოლომდე კარგად იცხოვროს. ამასთან, არა მგონია, რომ იგი ფულის გულისთვის თამაშობს. ის, რაც მან ესოდენ ახალგაზრდამ შეძლო, უბრალოდ, გაოცებას იწვევს".

ოუენთან შედარებით, 24 წლის ფაულერი ვეტერანად გამოიყურება. დალგლიში იგონებს იმ დროს, როცა 14 წლის რობი „ლივერპულის" სტადიონ „ენფილდზე" ვარჯიშობდა: „იმ წლებში გუნდის უძლიერესი თავდამსხმელი იან რაში იყო. არ ვიცი, ცდილობდა თუ არა რობი მის მიბაძვას, მაგრამ თამაშის იგივე მანერა გამოუმუშავდა. როცა ოუენის გარშემო ასეთი ხმაური ატყდა, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ფაულერი, უბრალოდ, დაივიწყეს. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი „ლივერპულისათვის" ნაკლებად ძვირფასია, ვიდრე მაიკლი".

ერთი სიტყვით, „ლივერპულის" დუეტი დღითი დღე მეტ სახელს იხვეჭს. ეს კლუბის ხელმძღვანელებთან ერთად, ნაკრების მწვრთნელებსაც ახარებთ. ორი ასეთი ბრწყინვალე თავდამსხმელი, ესოდენ ახალგაზრდა და ასეთი შედეგიანი...

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### გაზაევი: შარშან იანოვსკისა და გახოკიძის ტრანსფერმა გვიშველა

როგორც ვლადიკავკაზის „ალანიის" მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა განაცხადა, შარშან გუნდის ბიუჯეტი 4 – 4,5 მილიონი დოლარი იყო. ეს კლუბს აშკარად არ ყოფნიდა. რესპუბლიკის ბიუჯეტი ძალზე მცირე იყო და მისი დახმარების იმედი ფეხბურთელებს არ უნდა ჰქონოდათ. გვიშველა იანოვსკისა და გახოკიძის ტრანსფერმა.რამდენი გვინდა ახლა, როცა რუბლი გაუფასურდა, რათა გუნდი, კლუბი, მთელი მისი ინფრასტრუქტურა შევინახოთ? ამაზეა ახლა საუბარი.

### „ჰითცფელდი ჩვენთან უნდა დარჩეს"

ოტმარ ჰითცფელდს მიუნხენის „ბაიერნთან" 2000 წლის 30 ივნისს უმთავრდება კონტრაქტი, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელები აპირებენ მის კიდევ 3-4 წლით შენარჩუნებას. თუ მან კლუბის მესვეურების პირობები მიიღო, მაშინ ბუნდესლიგაში ყველაზე ძვირადღირებული მწვრთნელი გახდება. თუმცა ჰითცფელდს საზღვარგარეთიდანაც ეპატიჟებიან.

„იგი ჩვენთან უნდა დარჩეს. ჩვენ მთლიანად კმაყოფილი ვართ მისი მუშაობით, – განაცხადა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა რუმენიგემ.

### „ოლიმპიკის" მწვრთნელი კმაყოფილია

მარსელის „ოლიმპიკის" მწვრთნელი როლან კურბისი ამ კლუბში სულ მეორე წელია მუშაობს, ადრე ამბობდა, რომ აქ სულ ერთ სეზონს დარჩება ახლა კი...

„ვგრძნობ, რომ საქმე კარგად მიდის. ამიტომ მინდა „ოლიმპიკში", სულ მცირე, ხუთი წელი მაინც ვიმუშაო მაშინ, ნახავთ..."

### ტულის კლუბში ნუ ითამაშებთ, სულ ერთია, მოგატყუებენ

ასე ფიქრობს ცნობილი ფეხბურთელი, ადრე ცსკა-სა და ესპანეთში მოთამაშე მცველი დმიტრი კუზნეცოვი.

როგორც მან კორესპონდენტთან საუბარში თქვა, ტულის „არსენალმა" ოქროს მთები აღუთქვა, მაგრამ როცა კლუბში ჩაირიცხა, შვიდი თვის განმავლობაში არ აძლევდნენ ხელფასს. იგი, როგორც ვეტერანი, მოთამაშეების სახელით კლუბის ხელმძღვანელობასთან მივიდა, მაგრამ სულ „ხვალ,ხვალ" უთხრეს.

● *დიახ, მაგრამ როგორი იყო ამაზე „არსენალში" მოთამაშე ბრაზილიელების რეაქცია?*

– ჩვენი მთავარი ბომბარდირი ანდრადინა წავიდა კიდეც ტულიდან. პროტესტის ნიშნად შეწყვიტა ვარჯიში.

● *გაფიცვის სურვილი ხომ არ გქონიათ?*

– გვინდოდა. ორჯერ ვაპირებდით გასვლითი მატჩების ბოიკოტს, არც „ტორპედოსთან" სათასო მატჩზე გვინდოდა გამოსვლა. მაგრამ პროფესიული ვალდებულების გრძნობამ ეს არ გაგვაკეთებინა. ისე კი, მინდა ახლა ყველას ვუთხრა: „ბიჭებო, არ ითამაშოთ ტულის „არსენალში", სულ ერთია, მოგატყუებენ".

### ისრაელი გაასწრებს რუსეთს?

როგორც ცნობილია, ჰაიფას „მაკაბის" შემადგენლობაში თამაშობს ვოლგოგრადის „როტორის" ყოფილი თავდამსხმელი, ეროვნებით გერმანელი ვლადიმირ ნიდერგაუსი. კორესპონდენტის კითხვაზე...

● *შეგიძლიათ შეადაროთ რუსეთისა და ისრაელის პირველობები?*

მან ასე უპასუხა:

– ისინი დაახლოებით ერთი დონისაა. მაგრამ უახლოეს მომავალში ისრაელის ჩემპიონატი კლასის თვალსაზრისით რუსეთისას გადაასწრებს.

● *რას ეყრდნობა თქვენი პროგნოზი?*

– ისრაელში ფეხბურთი ყველა სფეროშია პოპულარული – მთავრობის, ფინანსური სტრუქტურის სფეროებში. გარდა ამისა, ადამიანები, რომლებიც ფეხბურთში და, საერთოდ, სპორტში საქმიანობენ, გადასახადებისაგან განთავისუფლებული არიან. რუსეთში ამას არ აკეთებენ, ამიტომაც, ფინანსური ჯგუფები ჩემპიონატისადმი ინტერესს არ იჩენენ, ფულის გარეშე კი შედეგს ვერ მიაღწევ. და სანამ ფეხბურთში სერიოზული თანხები არ დაბანდდება, წარმატებას ნუ ველით.

### ლეაომ „სანტოსის" დიდება უნდა აღადგინოს

სან-პაულუს „სანტოსის" ახალგაზრდა ფეხბურთელები მთელი ძალით მიილტვიან თავიანთი სახელოვანი წინამორბედების – პელეს, დორვალის, კუტინიოსა და სხვების ტრადიციების აღდგენისაკენ – ასეთი განცხადება გაკეთდა ბრაზილიურ პრესაში.

ეს მეტად საპატიო ამოცანა მწვრთნელ ემერსონ ლეაოს ეკისრება. ლეაო ახლო წარსულში კარგად ცნობილი მეკარეა, ბრაზილიის ნაკრებში 81 მატჩი გამართა, ორჯერ ფიფას ნაკრებშიც ითამაშა. 1987 წლიდან მოყოლებული, იგი პროფესიონალი მწვრთნელია, ხელმძღვანელობდა რესიფის „სპორტს", „სან-ჟოზეს", „პალმეირასს", „პორტუგეზას", „ჟუვენტუდეს", „ატლეტიკო პარანაენსეს", შემდეგ იაპონურ კლუბებს „სიმიძუ, ელ-პალსს" და „იომიური ვერდის", სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი „ატლეტიკო მინეისოს". „სანტოსს" სათავეში 1998 წელს ჩაუდგა.

### 33 წელი და... 2 თვე

„სერია B"-ში გადასასვლელად კარგა ხანია განწირულ „ემპოლის" ამას წინათ სათავეში ჩაუდგა 58 წლის კორადო ორიკო, მეტად თავისებური პიროვნება იტალიურ ფეხბურთში. საქმე ის არის, რომ მისი, როგორც მწვრთნელის კარიერა უკვე 33 წელია გრძელდება, აქედან კი „სერია A"-ში გაატარა სულ 2 თვე. „ემპოლიში" მისვლამდე კი 1979-80 წლების სეზონში 22 დღე ედგა სათავეში „უდინეზეს", კიდევ 17 დღე კი „ინტერში" გაატარა.

„ემპოლიში" მისვლამდე ორიკო „სერია C"-ს კლუბ „ალესანდრიას" ხელმძღვანელობდა.

### სამხრეთაფრიკელებს ჯიბე არ აძლევს საშუალებას

სამხრეთ აფრიკის არც ერთი ქვეყანა არ მიავლენს ფეხბურთის გუნდს წლეულს კანადის ქალაქ ვინიპეგში პანამერიკულ თამაშებზე. ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეჯიბრების ორგანიზატორთა მიზეზია, რომლებმაც უარი განუცხადეს ფედერაციებს ამ ტრადიციულ თამაშებზე სამგზავრო და ადგილზე გუნდების საცხოვრებელი ხარჯების განაღდებაზე.

ახლა, სამხრეთამერიკელი ფეხბურთის გრანდების ნაცვლად აშკარად სუსტი – ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის გუნდები ჩავლენ თამაშებზე.

### გარდაიცვალა იგორ ნეტო

ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 69 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, იგორ ნეტო.

1948 წლიდან 1966 წლამდე თამაშობდა მოსკოვის „სპარტაკში". წლების განმავლობაში იყო „სპარტაკისა" და ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი, სსრ კავშირის 1952, 1953, 1956, 1958, 1962 წლების ჩემპიონი და 1950, 1958, 1963 წლების ქვეყნის თასის მფლობელი. ნაკრებში ითამაშა 54 მატჩი, გაიტანა 4 გოლი, აგრეთვე იყო 1960 წლის ევროპისა და 1956 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

# მსოფლიო ფეხბურთის ამბები

## ჩვენ, გერმანელები მწვერვალებზე აღარა ვართ“

გერმანული ფეხბურთის ლეგენდა ფრანც ბეკენბაუერი ესაუბრა ჟურნალ „კიკერის“ კორესპონდენტს. გთავაზობთ ზოგიერთ ნაწყვეტს გერმანიის ფეხბურთის კავშირის ვიცე-პრეზიდენტის ინტერვიუდან.



ფრანც ბეკენბაუერი

● *ჰერ ბეკენბაუერ, რომელ ადგილზეა ახლა გერმანული ფეხბურთი?*

– ჩვენ, გერმანელები უკვე აღარა ვართ გაბატონებულ მწვერვალებზე.

● *რატომ მოხდა ეს?*

– იმიტომ, რომ არაფრად ჩავაგდეთ განგაშის სიგნალი. ვფიქრობდით, რომ რახან წარმატება გვქონდა, ყველაზე უკეთესნიც ვიყავით. საკუთარ ძალებში მეტისმეტად დარწმუნებული ალმოვჩნდით, სხვებმა კი ჩვენგან ისწავლეს და გაგვასწრეს, თამაშის სრულყოფით არ დავინტერესებულვართ.

● *შარშანდელი წლიდან რა დაგამახსოვრდათ?*

– რაც შეეხება ჩემს მუშაობას გერმანიის ფეხბურთის კავშირში, ეს თანამდებობა სულ ახლახან დავიკავე. როგორც „ბაიერნის“ პრეზიდენტი, ვიტყვი, რომ კლუბმა ჯერ კიდევ პირველ წრეში იოლად დაუთმო ჩემპიონობა „კაიზერსლაუტერნს“. ამასთან, სულაც არ მინდა ამ კლუბის მიღწევის დამცირება. რაც შეეხება წლის ნახევარს, მან საკლუბო ფეხბურთის ნიშნით ჩაიარა. წარმატებები გვქონდა ჩემპიონთა ლიგაში, უეფას თასზე კი მარცხი ვიგემეთ. ერთი სიტყვით, სტაბილურობა არა გვაქვს.

● ***ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ამას წინათ ძალიან გაუმართლა, როცა შეძლო ჰოლანდიელებთან მატჩის ფრედ – 1-1 დასრულება. რა არის იმის მიზეზი, რომ ჰოლანდიელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ – იქნებ ის, რომ აითვისეს უფრო მოქნილი სისტემა 4+4+2?***

– მთელი ეს საუბარი სხვადასხვა ტაქტიკურ სისტემაზე, სრული სისულელეა.

● *მაშ, რაღაშია ნამდვილი მიზეზი?*

– ჩვენ მათ ვერ ვუმკლავდებოდით. მათი მოთამაშეები ბურთს უკეთესად ფლობდნენ. ჩვენებს კი ასეთი ოსტატობა არა აქვთ. რა სისტემითაც არ უნდა ეთამაშათ, იგივე იქნებოდა. სასაცილოც კი არის ამაზე ლაპარაკი.

● *როგორ უნდა გაიზარდოს გერმანელების ტექნიკური ოსტატობა?*

– უკვე გვიანაა ჩამოყალიბებული მოთამაშეებისათვის თავიდან სწავლა. მთავარი უბედურება ახალგაზრდებთან ცუდად წარმართული მუშაობაა. ვერავინ დამიმტკიცებს, რომ გერმანელი ყმაწვილი ნაკლებად ნიჭიერია, ვიდრე ინგლისელი ან ჰოლანდიელი.

● ***იქნებ ახალგაზრდა გერმანელებს ის უშლით ხელს, რომ ჩვენს ლიგებში უამრავი, საშუალო ძალის უცხოელი ფეხბურთელია?***

– დამნაშავეები მხოლოდ ახალგაზრდა გერმანელები არიან, მხოლოდ ისინი. უცხოელ მოთამაშეებს შესაძლებლობები იმიტომ ეძლევათ, რომ ჩვენები ძალიან სუსტები არიან. შექმნილი სიტუაცია იმას ადასტურებს, რომ ახალგაზრდებს არასწორად ამეცადინებენ.

● ***ეტყობა, გერმანულ ფეხბურთს მოუხდებოდა უცხოეთიდან ნამდვილი ვარსკვლავების მოზიდვა.***

– ვერც რონალდოს მივიღებთ, ვერც რივალდოს, ფიგუს, ზიდანსა და რობერტო კარლოსს, რადგან ეს უნიკალური ოსტატები იტალიასა და ესპანეთში თამაშობენ.

● ***კლუბების ფასი და მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება. ხომ არ დაამცირებს ეს გარემოება ეროვნული ნაკრების პრესტიჟს?***

– არა. ეროვნული ნაკრები ყოველთვის შეასრულებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ როლს, იგი ლიგის სარკე გახლავთ. რა თქმა უნდა, ისმის კითხვა, რა მიმართულებით განვითარდება თამაში. ახლა იზრდება საკლუბო ფეხბურთის ფასი, ნაკრების როლის დევალვაცია ხდება.

● *რამდენად ხდება ეს დევალვაცია?*

– ავილოთ, მაგალითად, ევროპის პირველობის შესარჩევი ჯგუფი. 6 მონაწილიდან 5 მეორეხარისხოვანი ნაკრებია. ამასთან დაკავშირებით, გულშემატკივარს ასეთი თამაშები არ აინტერესებს.

● ***ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თვით ევროპის პირველობის ჩატარების პრინციპი უნდა შეიცვალოს? მაგრამ როგორ?***

– ძალიან ბევრი თამაში ტარდება უმნიშვნელო ძალის ნაკრებებთან. ასეთი მატჩები ინტერესს არ იწვევს, ამიტომ საჭიროა მათი რაოდენობის მკვეთრი შემცირება. ჩემს დროს 6-7 საერთაშორისო მატჩი იყო სეზონში, 1998 წელს კი 17 ასეთი შეხვედრა ჩატარდა. ნაკრებმა წელიწადში 10 მატჩზე მეტი არ უნდა ითამაშოს. ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში 16 ნაკრები გამოვა. აქედან ორი ადგილი მასპინძლებს – ჰოლანდიელებსა და ბელგიელებს დაეთმოთ. დანარჩენი 14 ნაკრები, ჩემი აზრით, 14 ჯგუფში უნდა გაენაწილებინათ, ათში სამ-სამი მონაწილე იქნებოდა, ოთხში კი – ოთხ-ოთხი. გამარჯვებულები ფინალში გავიდოდნენ. ამ შემთხვევაში ამხანაგური შეხვედრების დროც დარჩებოდა, მსოფლიო ფეხბურთის კლასიკოსებთან, მაგალითად, ბრაზილიელებთან.

● ***1998 წელს დამთავრდა ნაკრებში ფოგთსის ეპოქა. რამდენად იყო აუცილებელი მისი გადადგომა?***

– ასეც ხდება, როცა მწვრთნელს მარცხი სდევს თან. ამაშია მწვრთნელის პროფესიული რისკი, როგორც ბუნდესლიგაში, ისე ეროვნულ ნაკრებში.

● ***რა უნდა შეიცვალოს 1999 წელს გერმანულ ფეხბურთში?***

– მოხარული ვიქნებოდი, თუკი შედარებით ცოტა რამ შეიცვლებოდა, ბუნდესლიგის მატჩები შეუპოვარ ბრძოლაში მიმდინარეობს. ის, რომ ჩემპიონთა ლიგაში ჩვენი ამდენი გუნდი მიიღებს მონაწილეობას, მხოლოდ ზრდის ბრძოლის სიმძაფრეს. ვერ ვხედავ იმის საფუძველს, რომ ყველაფერი მუქ ფერებში წარმოვიდგინოთ. ზოგი დეტალის სრულყოფა მაინც აუცილებელია.

● ***უკვე 1999-2000 წლების სეზონში სტარტს იღებს ახალი გაფართოებული ჩემპიონთა ლიგა. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ბუნდესლიგის კლუბების რაოდენობა შემცირდება?***

– არა, ბუნდესლიგაში 18 კლუბი დარჩება. მაგრამ იმაზე უნდა ვიფიქროთ, ღირს კი ზამთრის არდადეგების შენარჩუნება? თუკი ეს შესვენება არ იქნება, მაშინ შეგვეძლებოდა თამაშები შაბათობით ჩაგვეტარებინა. დარბაზში თამაშზე მთლიანად უნდა ვთქვათ უარი.

● ***თქვენ ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ იწინასწარმეტყველეთ ევროლიგის შექმნა. ხომ არ არის იგი ჩემპიონთა ახალი ლიგა?***

– დიახ. ჩემპიონთა ლიგა სწორედ ეს ევროლიგაა, ჯგუფებად გაყოფილი, რაც ძალიან კარგია.

მოამზადა
გივი თორელმა

## უკვე ყველაფერი ნათელია?!

### გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა

20 მარტიდან მოყოლებული, ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩების გამო, გერმანიის პირველობაზე ორკვირიანი შესვენება გამოცხადდა და მორიგი, 24-ე ტური დღეს გაიმართება. თითქოს ჩემპიონის დასახელება შეიძლება კიდეც, თუმცა ბუნდესლიგაში ხომ არაერთი სხვა საკითხიცაა გადასაწყვეტი.

ევროპის ქვეყნებში არსად არ არის ისეთი ვითარება, რომ ლიდერი მდევრებს ასეთი უზარმაზარი უპირატესობით უსწრებდეს. მიუნხენის „ბაიერნს“ შარშანდელ ჩემპიონ (პირდაპირ ვთქვათ, ექს-ჩემპიონ) „კაიზერსლაუტერნთან“ 14-ქულიანი უპირატესობა აქვს. ბევრი რამ ხდება ფეხბურთში, მაგრამ ვინ დაიჯერებს, რომ „ბაიერნი“ პირველობის დამთავრებამდე 11 ტურით ადრე ჩემპიონობას ხელიდან გაუშვებს? მრავალნაცადი ოტმარ ჰითცფელდი მაინც ძალიან ფრთხილობს და თავისი მოთამაშეების მეტისმეტი შექებისაგან თავს იკავებს, თუმცა ყველამ იცის, რომ მათ (ყოველ შემთხვევაში, გერმანიაში) ბადალი არა ჰყავთ მე-20 ტურის შემდეგაც კი, როცა „ბაიერნმა“ როსტოკში სასტიკად დაამარცხა ადგილობრივი „ჰანზა“ 4-0, ჰითცფელდმა თქვა: „შეცდომა იქნებოდა ჩვენთვის ახლავე ჩემპიონები ეწოდებინათ, ვინაიდან პირველობის დამთავრებამდე, ჯერ კიდევ ადრეა. ამასთან, ჩვენი გუნდის თამაში იდეალურისაგან ძალზე შორს არის. „ჰანზასთან“ მეორე ტაიმშიც კი, როცა 4 გოლი გავიტანეთ, არც ისე დამაჯერებლად გამოვიყურებოდით“. კრიტიკული ტონი ჰითცფელდისათვის არც შემდეგ იყო უცხო. „ფრაიბურგთან“ მოგების შემდეგ (2-0) მწვრთნელმა განაცხადა: „დღეს კარგად ვითამაშეთ დაცვაში, მაგრამ თავდასხმაში ფეხბურთელები როგორღაც მოუხეშავები იყვნენ“.

ყოველივე ეს ჰითცფელდს ზედმეტ სიფრთხილეში ჩავუთვალოთ. ისე კი, მისი კლუბი ბუნდესლიგის სხვა გუნდებისაგან, უახლოესი მიმდევრების „კაიზერსლაუტერნისაგან“ და „ბაიერისაგან“ (ლევერკუზენი) მკვეთრად გამოირჩევა. ამასთან, იგი ჩემპიონთა ლიგაში კიევის „დინამოსთან“ ფავორიტადაც ითვლება. აქ ხომ ეროვნული ნაკრების არაერთმა წამყვანმა



მოთამაშემ მოიყარა თავი. მეკარე კანის საბრძოლო მზადყოფნა აშკარად გაუმჯობესდა. ყოველ შემთხვევაში, დღეს, „ბაიერნის“ გოლკიპერს ბუნდესლიგაში ბადალი არა ჰყავს. განაპირა მცველები ბაბელი და ბასკი ლიზარაზიუ მეტად საიმედოდ თამაშობენ, ამასთან, საფრანგეთის ნაკრების წევრი ძალზე სახიფათოდ ერთვება შეტევაში. თუმცა, ახლა იგი დაშავებულია და სეზონის ბოლომდე სხვამ უნდა შეცვალოს. დაცვის ცენტრში უკვე კარგად შეთამაშებული წყვილია 38 წლის მათეუსი და იერემისი. ვეტერანი კლუბის პრეზიდენტ, ყოვლისშემძლე ფრანც ბეკენბაუერის სრული მხარდაჭერით სარგებლობს. ჰითცფელდიც მას სავსებით ენდობა, თუმცა ნაკრების მწვრთნელი ერიხ რიბეკი სხვანაირად ფიქრობს. მისი აზრით, მათეუსმა დაცვაში კი არ უნდა ითამაშოს, არამედ შუა ხაზის 3 სუსტი ადგილები „დაფაროს“. დაცვაში ჰითცფელდი ხანდახან ტარნატსაც იყენებს. „ბაიერნის“ შუა ხაზი მეტისმეტად ძლიერია. აქ დიდი წარმატებით გამოდის მენხენგლადბახის „ბორუსიიდან“ გადმოსული ეფენბერგი, რომელიც ყოველ მატჩს მეტად აქტიურად ატარებს. რაც შეეხება „სუპერმარიოდ“ წოდებულ ბასლერს, იგი კლუბის ხელმძღვანელობის აზრით, უკეთესად უნდა მოქმედებდეს. შტრუნცს წინათ არათანაბარი სეზონები ჰქონდა, ახლა კი მას ვერაფერს დაუწუნებ. რა თქმა უნდა, შესამჩნევია, რომ გუნდს სეზონის ბოლომდე გამოაკლდა მთავარი სნაიპერი ბრაზილიელი ელბერი.

ჩემპიონატში გატანილ მის 13 გოლს ვერაფერი მიემატება. სამაგიეროდ, შესანიშნავად თამაშობს იანკერი, ნამდვილი გოლეადორი.

მაშ ასე, 23 თამაშის შემდეგ „ბაიერნს“ 59 ქულა აქვს (19 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება, ბურთები 55-13), ლიგაში ყველაზე ძლიერი თავდასხმა და ყველაზე საიმედო დაცვა. თითქოს ყველაფერი ნათელია.

ბრწყინვალე მწვრთნელი ოტო რეჰაგელი კვლავ ჩინებულად უძღვება „კაიზერსლაუტერნს“, თუმცა ცხადია, რომ ლიდერთან პაექრობა მის კლუბს არ ძალუძს. რა თქმა უნდა, იმოქმედა იმანაც, რომ კლუბს კარგა ხნით გამოაკლდა საუკეთესო სნაიპერი მარშალი. მწვრთნელი, ცოტა არ იყოს, ემდურის არათანაბრად მოთამაშე მეკარე რაინკეს. საკმაოდ საიმედოდ მოქმედებენ მცველები მრავალნაცად სფორცას ხელმძღვანელობით. მის მხარდამხარ თამაშობს ეგვიპტელი რამზი. მარშალის არყოფნაში თავდასხმის ლიდერია რიოსლერი, რომელიც ადრე, როგორც გახსოვთ, „მანჩესტერ სიტიში“ გამოდიოდა. ახლა „კაიზერსლაუტერნს“ 23 მტჩის შემდეგ 45 ქულა აქვს (13 მოგება, 6 ფრე, 4 წაგება, ბურთები 37-31). წლეულს გერმანიის ჩემპიონმა ჩემპიონთა ლიგაში მეოთხედფინალამდე მიაღწია, ამავე მეტად პრესტიჟულ შეჯიბრებაში კიდევ ერთხელ მიიღებს მონაწილეობას, თუმცა მწვრთნელი ფიქრობს, რომ „კაიზერსლაუტერნის“ შემადგენლობა აუცილებლად უნდა გაძლიერდეს. ისე კი, ოტო რეჰაგელის სამწვრთნელო ავტორიტეტი კვლავინდებურად მეტად მაღალია.

ჩინებულად თამაშობს კრისტოფ დაუმის „ბაიერი“ (ლევერკუზენი), რომელიც ასევე იბრძვის ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებაში მოსახვედრად. ახლა „ბაიერი“ მესამე ადგილზეა, 42 ქულა აქვს (11 მოგება, 9 ფრე, 3 წაგება, ბურთები 44-21). ასეთივე პრეტენზია აქვთ დორტმუნდის „ბორუსიას“ (39 ქულა), ბერლინის „ჰერტასა“ (38) და „მიუნხენ-1860“-ს (37),

რაც შეეხება ბუნდესლიგის აუტსაიდერებს, აქ, ეტყობა ველარაფერი იხსნის შარშან რის ვაინაჩრობით გადარჩენილ მენხენგლადბახის „ბორუსიას“, რომელსაც სულ 15 ქულა აქვს. მეტად მძიმე მდგომარეობაში არიან როსტოკის „ჰანზა“ (17 ქულა), „ნიურნბერგი“ (20) და მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტი“ (20). რაც შეეხება იაშვილის, კობიაშვილისა და ცქიტიშვილის „ფრაიბურგს“, მას სატურნირო ცხრილის შუაგულში, მე-11 ადგილი უჭირავს (27 ქულა, 6 მოგება 9 ფრე, 8 წაგება, ბურთები 25-27).

სნაიპერთა შორის ჯერჯერობით პირველ ადგილზეა პრეცი („ჰერტა“) – 14 გოლი. ელბერმა („ბაიერნი“) 13 გოლი გაიტანა, პოლონელმა იუსკოვიაკმა („ვოლსბურგი“) და ვინკლერმა („მიუნხენ – 1860“) კი – 11-11.

ახლა კი გადავხედოთ უახლოესი შეხვედრების განრიგს. 3 აპრილს ლიდერ „ბაიერნს“ სტუმრად მეტად პრინციპული შეხვედრა ექნება დორტმუნდის „ბორუსიასთან“, 10 აპრილს კი გელზენკირხენის „შალკე 04“-ს მიიღებს. ხვალ მეტად საინტერესო შეხვედრაა კაიზერსლაუტერნში, რომელსაც უშუალო მეტოქე, „ბაიერი“ (ლევერკუზენი) ესტუმრება. ამის შემდეგ „კაიზერსლაუტერნი“ სტუმრად ითამაშებს მტკიცე „ვოლფსბურგთან“, ხოლო „ბაიერი“ „აინტრაჰტს“ მიიღებს. ვინ იქნება მეორე, ვინ იქნება მესამე და მეოთხე?

გივი ბაძრიშვილი



## ზურაბ ფოფხაძე – კაპიტანი

სამარის „კრილია სოვეტოვს“ ამ სეზონში ახალი მწვრთნელი ჰყავს, კარგად ცნობილი ალექსანდრ ტარხანოვი. იანვრიდან გუნდის კაპიტანი კი ქართველი ზურაბ ფოფხაძე გახდა.

აი, რას წერს მის შესახებ სამარელი ჟურნალისტი მიხაილ შპენკოვი: „იგი ორი წლის წინათ ჩაირიცხა „კრილია სოვეტოვში“, ძალიან სწრაფად დაიკავა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და სამარელი გულშემატკივრების ერთ-ერთი კერპი გახდა. უპირველეს ყოვლისა, თავისი უკიდურესი სპორტულობისა და ნებისმიერ პოზიციაზე გუნდისთვის დახმარების გაწევის სურვილის გამო. მან შეუპოვარი მცველის სახელი მოიპოვა. თავის პირველივე მატჩში „როტორს“ რუსეთის 1997 წლის თასის მეოთხედფინალურ მატჩში გოლი გაუტანა.

— ვფიქრობ, ადრეც შეგვეძლო ძალის მიხედვით რუსული ფეხბურთის ლიდერებს მივახლოვებოდით. ახლა მთავარი რამ გვაქვს — საკუთარი ძალების რწმენა. გუნდს მოსწონს ლამაზი ფეხბურთის თამაში, როგორსაც ალექსანდრ ტარხანოვი გვთავაზობს.



# სტეფანიას უფრო მეტად ენდობიან

## დალასი – სიეტლი 101:109

30 მარტს გამართული შეხვედრებიდან აღსანიშნავია დალასისა და სიეტლის მატჩი. ამ შეხვედრაში სიეტლში მოთამაშე ქართველმა ლეგიონერმა ვლადიმერ სტეფანიამ გაიუმჯობესა პირადი რეკორდები. ნათამაშევი წუთებით (23) და ფარიდან მოხსნა (8). ამას გარდა მანვე პირად ანგარიშზე ჩაიწერა 8 ქულა (თამაშიდან 4 ზუსტი სროლა 8-დან), 1 საგოლე გადაცემა, 1 „ჩაჭრა" და 1 ბლოკ-შოტი.

*სხვა მატჩები:* ინდიანა — ატლანტა 82:83, ლეიკერსი — ვანკუვერი 116:98, დენვერი — კლიპერსი 100:88.



### აღმოსავლეთის კონფერენცია

„ატლანტიკის" დივიზიონი

| | | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ორლანდო | 30 | 21 | 9 | 70,0 |
| 2. | მაიამი | 28 | 19 | 9 | 67,9 |
| 3. | ფილადელფია | 28 | 15 | 13 | 53,6 |
| 4. | ნიუ-იორკი | 30 | 16 | 14 | 53,3 |
| 5. | ვაშინგტონი | 28 | 12 | 16 | 42,9 |
| 6. | ბოსტონი | 27 | 9 | 18 | 33,3 |
| 7. | ნიუ-ჯერსი | 28 | 5 | 23 | 17,9 |

„ცენტრალური" დივიზიონი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ინდიანა | 29 | 20 | 9 | 69,0 |
| 2. | ატლანტა | 30 | 19 | 11 | 63,3 |
| 3. | დეტროიტი | 29 | 17 | 12 | 58,6 |
| 4. | მილუოკი | 28 | 16 | 12 | 57,1 |
| 5. | კლივლენდი | 27 | 14 | 13 | 51,9 |
| 6. | ტორონტო | 28 | 14 | 14 | 50,0 |
| 7. | შარლოტი | 27 | 12 | 15 | 44,4 |
| 8. | ჩიკაგო | 29 | 8 | 21 | 27,6 |

### დასავლეთის კონფერენცია

„მიდუესტის" დივიზიონი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | იუტა | 28 | 21 | 7 | 75,0 |
| 2. | ჰიუსტონი | 30 | 21 | 9 | 70,0 |
| 3. | სან-ანტონიო | 29 | 19 | 10 | 65,5 |
| 4. | მინესოტა | 29 | 16 | 13 | 55,2 |
| 5. | დალასი | 31 | 10 | 21 | 32,3 |
| 6. | დენვერი | 30 | 8 | 22 | 26,7 |
| 7. | ვანკუვერი | 29 | 5 | 24 | 17,2 |

„პასიფიკის" დივიზიონი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | პორტლენდი | 28 | 23 | 5 | 32,1 |
| 2. | ლეიკერსი | 32 | 21 | 11 | 65,6 |
| 3. | სიეტლი | 28 | 15 | 13 | 53,6 |
| 4. | ფენიქსი | 30 | 14 | 16 | 46,7 |
| 5. | საკრამენტო | 30 | 13 | 17 | 43,3 |
| 6. | გოლდენ სტეიტი | 28 | 12 | 16 | 42,9 |
| 7. | კლიპერსი | 28 | 3 | 25 | 10,7 |

# „შესაძლებელია თქვენი შეხვედრა კარპოვთან?"

ჰკითხეს ამას წინათ გარი კასპაროვს.

— ჩვენ უკვე საკმაო რაოდენობის მატჩებში შევხვდით ერთმანეთს. ძალიან დიდ პატივს ვცემ წარსულში ანატოლი კარპოვის უზარმაზარ სატურნირო და სამატჩო წარმატებებს, მაგრამ დღეს სულ სხვა მდგომარეობაა. ახლა მსოფლიოს მეთორმეტე ჩემპიონი ვეღარ ხვდება რუსეთის ნაკრებშიც კი, რომლის ძირითად შემადგენლობაში შედიან კასპაროვი, კრამნიკი, სვიდლერი და მოროზევიჩი. მიმდინარეობს თაობათა ცვლა. თუმცა ისიც ვთქვათ, რომ კასპაროვ-კარპოვის მატჩებმა ძალიან დიდი როლი შეასრულა, თანამედროვე ჭადრაკის საფუძველი შექმნა. სწორედ მან შეუწყო ხელი ანანდის, კრამნიკის, ივანჩუკის, გელფანდის, შიროვის შემოქმედებით ზრდას.

● ***იყო თუ არა თქვენს ცხოვრებაში მომენტები, როცა საჭირო ხდებოდა რაიმე ჯებირის გადალახვის გზით წინსვლა?***

— 1985 წლამდე ჩემს წინაშე საკმაოდ მარტივი ამოცანა იდგა — საჭირო იყო მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება. ეს არც ისე იოლად გადასალახავი ჯებირები იყო, მაგრამ მაინც ვახერხებდი მათ დაძლევას. იყო, რა თქმა უნდა, არასაჭადრაკო ხასიათის ზღუდეებიც, მაგრამ მაინც საკმაოდ იოლად მივდიოდი წინ. ნათელი მიზანი, ძალიან დიდი ენერგია და საკუთარი უპირატესობის გრძნობა მქონდა. 1986 წელს დავისახე მიზნად, რომელსაც ბევრი აბსურდულად თვლიდა: ელოს კოეფიციენტების ცხრილში 2800 პუნქტისთვის გადამეჭარბებინა. ეს ამოცანაც გადავწყვიტე. ამ მიზნის მიღწევის შემდეგ უკვე 10 წელიწადი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ანანდმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ 2800 პუნქტს მიუახლოვდა. გარკვეულ მომენტში ახალი ჯებირი გამიხდა გადასალახავი. უკვე კონკრეტული მიზანი აღარ მქონდა, მოტივაცია მაკლდა: ვთქვათ, კიდევ ერთი მატჩი მოვიგე მსოფლიო ჩემპიონატზე, ვთქვათ, კიდევ ერთ ტურნირში გავიმარჯვე. მერე რა? ვფიქრობ, ახლა თავი დავაღწიე კრიზისს, რომელიც 1996-97 წლებში მქონდა. ახლა ახალი ფსიქოლოგიური სიტუაცია შეიქმნა.



● ***განაგრძობს თუ არა არსებობას ჭადრაკი, როგორც პროფესიული სპორტი?***

— ვფიქრობ, მას არაფერი ემუქრება, მით უმეტეს, რომ ყოველთვის არის მოსაფიქრებელი დროის შეკვეცის საშუალება. თუმცა ამასთან ერთად, კლასიკურმა ჭადრაკმაც უნდა განაგრძოს არსებობა. არის რადიკალური საშუალებაც, რომლის პროპაგანდასაც ფიშერი ეწევა. ეს არის პირველ ხაზზე (ჰორიზონტალზე) ფიგურების განლაგების შეცვლა. ეს თავიდანვე თამაშის დაწყების საშუალებას იძლევა, თავიდანვე „გამოჰყავს მწყობრიდან" ყოველგვარი კომპიუტერი. ეს იმიტომ ხდება, რომ სადებიუტო მოუმზადებლად კომპიუტერი საერთოდ არაფერს წარმოადგენს. ასეთი „ფიშერენდომი" ჭადრაკს კიდევ 50 წლით არსებობის საშუალებას მისცემს. სხვა საკითხია, რომ „ფიშერის ჭადრაკში" არ არის სათანადო ჰარმონია, მაგრამ ადამიანი ხომ ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ეჩვევა. კიდევ რა საშუალებებს გამოიყენებენ, ამის შესახებ დღეისათვის არაფერია ცნობილი. ვფიქრობ, ჭადრაკს ჯერჯერობით ძველებურად ითამაშებენ ახლა მიღებული დროის შვიდსაათიანი კონტროლით. ამავე დროს დიდი მომავალი ექნება ასეთ ჭადრაკსაც — ადამიანი +კომპიუტერი. ეს იმას ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგეები თამაშში ნებისმიერ მომენტში კომპიუტერსაც გამოიყენებენ.

● ***რომელია თქვენი საყვარელი დებიუტი?***

— შეიძლება სულ სხვადასხვანაირი დებიუტის თამაში. ერთადერთი დასაწყისი, რომლის სიყვარულიც ცხრა წლიდან შევინარჩუნე, ეს არის სიცილიური დაცვის შევენინგენის ვარიანტი. ჩემი ცხოვრების მთავარი პარტია, 24-ე 1985 წლის მარტიდან მსოფლიო პირველობაზე სწორედ ამ დებიუტით მოვიგე.

## კორჩნოი – სპასკი

მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ბორის სპასკისა (საფრანგეთი) და ვიქტორ კორჩნოის (შვეიცარია) თავის დროზე ორი დიდი მატჩი აქვთ ნათამაშევი პრეტენდენტთა დონეზე. 1968 წელს გაიმარჯვა სპასკიმ, ათი წლის შემდეგ კი — კორჩნოიმ. მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. 62 წლის სპასკი მეტად იშვიათად თამაშობს, 68 წლის კორჩნოი კი, ასეთი ასაკის მიუხედავად, კვლავ დიდი წარმატებით მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებში. აქამდე სპასკი და კორჩნოი 59-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს — 5 ქულით წინ არის კორჩნოი. ახლა სანკტ-პეტერბურგში მიმდინარეობს ამ გამოჩენილი დიდოსტატების მატჩი 10 პარტიისაგან. პარტიისათვის მეტოქეებს თითო საათი ეძლევათ სვლების მოსაფიქრებლად, დღეში კი ორი შეხვედრა გაიმართება. საპრიზო ფონდი 12 ათასი დოლარია.

# რა ხდება ქვეყანაზე

### ევრო-2000-ის ფინალის ბილეთები ინტერნეტით

ამ სიახლის შესახებ განაცხადა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის აღმასრულებელმა მდივანმა ჰარი ბენმა როტერდამში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე. თითოეულ მსურველს შეუძლია შეიძინოს მხოლოდ არა უმეტეს 2 ბილეთისა. ფასი 32-255 აშშ დოლარს შორის მერყეობს. შეკვეთები შეიძლება ინტერნეტით WWW. euro-2000. org. გარდა ამისა, ფინალური ეტაპის მატჩებზე დასასწრები ბილეთების შეკვეთა შეიძლება უშუალოდ საორგანიზაციო კომიტეტში, ან ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციებში.

### სასჯელი მოლაპარაკებული თამაშისათვის

ჰონკონგში პატიმრობა მიუსაჯეს ეროვნული გუნდის სამ მოთამაშეს, რომლებმაც აღიარეს ქრთამის აღება მოლაპარაკებულ მატჩში მონაწილეობისათვის. კორუფციასთან ბრძოლის კომისიის განცხადებაში ნათქვამია, რომ 25 წლის მეკარე კევინ ლოკ კარვინს, 28 წლის მცველ ჩან ჩიკინგსა და 22 წლის თავდამსხმელ ვან კვალინგს მიესაჯა 22-თვიანი პატიმრობა და ჯარიმა 30 ათასი ადგილობრივი დოლარი თითოეულს (3864 აშშ დოლარი). მათ ეს თანხა ერგებოდათ ქრთამად „მსოფლიო-98" შერჩევითი მატჩის დათმობისათვის ტაილანდთან, რომელიც დამთავრდა 2-0.

### ჰონდა ბრუნდება

მიღებულია საბოლოო გადაწყვეტილება, რომ ავტომშენებლობის იაპონური გიგანტი „ჰონდა" დაბრუნდეს „ფორმულა-1"-ში. „დიდი პრიზების" გათამაშებაში იაპონელებს სურთ 2000 წლიდან დაბრუნდნენ საკუთარი გუნდით. ბოლოს, ჰონდას გუნდი „ფორმულა" 1"-ში სამოციან წლებში იბრძოდა, ოთხმოცსა და ოთხმოცდაათიანებში კი ძრავებით ამარაგებდა ბოლიდებს, რომლებითაც ბრაზილიელი ნელსონ პიკე, აირტონ სენა და ფრანგი ალენ პროსტი 5-ჯერ დაეუფლნენ ჩემპიონის ტიტულებს. ცნობილი გახდა აგრეთვე, „გრან პრის" ინვესტიციაში „ჰონდა" 980 მილიონ დოლარს ჩადებს 5 წლით. მაგრამ კონცერნის ზოგიერთი ბოსი ცდილობს „ფორმულა — 1"-ზე ასეთ მასირებულ შემოტევას წინ აღუდგეს და კულისებში ცხარე ბრძოლა გრძელდება.




6


12


17

## კროსვორდი (მძლეოსნობა)

**თარაზულად:** 2. მძლეოსნობის დისციპლინა, 4. პოპულარული უკრაინელი ჭოკით მხტომელი, 8. ხტომის ნაირსახეობა, 9. წარსულში ცნობილი ქართველი მძლეოსანი, 11. პრიზი, 13-14. მძლეოსნობის იარაღი, 17. ოლიმპიური პრიზიორი ქართველი ქალი *(ფოტო)*, 18. 1952 წლის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ვაჟი საქართველოდან, 20. მძლეოსნობის იარაღი, 22. ოლიმპიური პრიზიორი ქართველი ქალი, 23. პათოლოგიური მდგომარეობა, რომელშიც ხშირადვარდებიან მორბენლები, 24. რუსი სტაიერი, 25. წარსულში ცნობილი მძლეოსანი ქართველი ქალი.

**შვეულად:** 1. რბენა დასერილ ტრასაზე, 3. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, 5. ძვირფასი მინა, რომლითაც პრიზს ამზადებენ, 6. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი *(ფოტო)*, 7. მძლეოსნური იარაღი, 10. მძლეოსნური მრავალჭიდი, 12. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან *(ფოტო)*, 15. ლეგენდარული ჩეხი სტაიერი, 16. სიმაღლეზე ხტომაში ხარიხა, ანუ... 19. მსაჯის ხელსაწყო, 20. მძლეოსნური იარაღი, 21. კანადელი ოლიმპიური ჩემპიონი, სპრინტერი *(ფოტო)*.


21

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. იოსელიანი, 7. ოვერატი, 9. ივანოვი, 16. ბალბო, 19-21. ბორგი, 24. „ოდიში", 25. დესაი, 26-29. არკონადა, 29. არახამია, 32. კანოე, 33. აგასი, 36. კუინო, 37-38. ილინი, 44. რივალდო, 47. გალანტე, 52. ალპინისტი; **შვეულად:** 1. კეპკე, 2. შირეა, 5. იპონი, 6. ლუისი, 10-29. ნაკაიამა, 13. კლოდოალდო, 15. იუჰანსონი, 17. ლეივერი, 18. ორლანდო, 19. ბოგარდი, 20. როდმანი, 29. ასპრილია, 44-50. რაგბი, 45-51. ონევა, 48. ლემიე, 49. ნოდია; **დიაგონალურად:** 13-3 კარბახალი, 4-15 იუვენტუსი, 16-5 ბერხკამპი, 6-21. ლიტბარსკი, 8-22. კრესპო, 23-11. იკპება, 27-12. რამპულა, 12-31. ამოკაჩი, 28-14. ოკოჩა, 14-30. აუიტა, 27-42. რაფტერი, 28-40. ოსერი, 42-31. „იმერეთი", 40-30. იებოა, 43-34. ტვენტე, 35-46. ბრანკო, 36-50. კარატისტი, 39-52. ოლიმპიადა, 51-38. ასანოვიჩი, 53-41. ინდურაინი.

### საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. მb7! მუქარა 2. მc5X.
1. ...კ:d4 2. მg3X.
1. ...კ:f3 2. ეe5X.
1. ...ef 2. ეe3X.
1. ...მფf4 2. ე5:f4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე